დამნაშავე და მოძალადე ნაციონალები, ძვირფასო ხელისუფლებავ, უწინარესად, თქვენმა ეგრეთ წოდებულმა „დემოკრატიულმა მოთმინებამ“ გაათავხედა. ქვეყანა აშკარად სამოქალაქო დაპირისპირების წინაშეა. სახელმწიფოს დროული პრინციპული ნაბიჯების გადადგმა მართებს, იქნებ ზოგ-ზოგთათვის მტკივნეულიც, მაგრამ აუცილებლად პრინციპული. ასეთ ქაოსში ცხოვრება აუტანელი ხდება!

ასალაგმავი ძალები კანონის მთელი სიმკაცრით სასწრაფოდ უნდა აილაგმოს!

# ხვალ გვიან იქნება!


# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 17 მარტი, 2015 წელი.

№49 (7694)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


## საქართველოს მიწა განსაცდელშია!

სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

③

## პრემიერი ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს გმობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს გმობს. აღნიშნულთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრი განცხადებას ავრცელებს.

**„კატეგორიულად ვგმობ ზუგდიდში მომხდარ ინციდენტს, რომელსაც მოჰყვა დაპირისპირება და ფიზიკური ანგარიშსწორება ჩვენს მოქალაქეებს შორის. ეს არის გამიზნული პროვოკაცია, რომელიც ერთადერთ მიზანს ემსახურება — დაიძაბოს ვითარება ქვეყანაში. განსაკუთრებით შემაშფოთებელია და პროვოკაციულია ეს მაშინ, როდესაც ხელისუფლება და საზოგადოება ცდილობს, საბოლოოდ დაძლიოს და თანდათან გამოვიდეს იმ მძიმე წარსულიდან, რომელმაც თავისი კვალი დაატყო თითოეულ ჩვენგანს. დღეს ჩვენი მთავარი ამოცანაა მომავლისკენ ვიყუროთ და ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობაზე ვიზრუნოთ, ნებისმიერი ასეთი პროვოკაციული მოქმედება კი აფერხებს საზოგადოების განვითარებას და ქვეყნის წინსვლას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება და ყველა სამართალდამრღვევი აგებს პასუხს კანონის წინაშე“,** — აღნიშნულია განცხადებაში.






ლევან ქიქინიძე:

## ვინ რატომ და როგორ უშლის ხელს მეწარმეობის განვითარებას და ხალხის დასაქმებას?

⑤



ფარხად მამედოვი:

## ერთად უნდა გავძლიერდეთ!

④

*სხვათა შორის, თურქეთი არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს. იგი დღეს რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია. რუსეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა ორივე მხარისათვის მომგებიანია.*

ფონდი „ქართუს“ განცხადება

## „მაესტროს“ უადგილო და მცდარი გადაცემა

②

მაესტრო

## პოლიტიკური სარბიელი ავანტიურისტებისა და უმეცრებისგან უნდა გასუფთავდეს!

⑥

კერძო თუ სახელმწიფო საკუთრება?

ინფორმაცია

## პრეზიდენტი პარლამენტში ყოველწლიური ანგარიშით 20 მარტს გამოვა



**ამის** შესახებ საგარეო ურთიერთობათა საკითხებში საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა თენგიზ ფხალაძემ პოლიტოლოგებთან და ექსპერტებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„გამომდინარე იქიდან, რომ პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, მისი გამოსვლა, ბუნებრივია, უნდა ეხმიანებოდეს იმ მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებზეც საზოგადოებას ყურადღება აქვს გამახვილებული. ვეცადეთ, მაქსიმალურად ფართოდ ყოფილიყო წარმოდგენილი იმ ორგანიზაციების სპექტრი, რომლებიც მუშაობენ საგარეო პოლიტიკის პრობლემატიკაზე და, რომელთა კვლევაშიც აღინიშნება აზრთა სხვადასხვაობა. ნამდვილად მნიშვნელოვანია პრეზიდენტისთვის, ვიცოდეთ ყველა ის განწყობა, რომელიც საზოგადოებაშია“, — განაცხადა ფხალაძემ.

## 21 მარტის აქციაზე წამსვლელებს ბათუმში სირცხვილის კორიდორის გავლა მოუწევთ

**ამის** შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო მონიტორინგის“ თავმჯდომარე აცხადებს. დავით ბერიძე ამბობს, რომ ნაციონალურ მოძრაობას არ აქვს უფლება, აქცია დაგეგმოს, რადგან თავის დროზე სასტიკად უსწორდებოდა მშვიდობიან აქციაზე შეკრებილ ხალხს.

მისი ინფორმაციით, სირცხვილის კორიდორის ორგანიზებაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია და რიგითი ბათუმელებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ნაციონალურ მოძრაობას, როგორც ჩანს, დაავიწყდა როგორ არბევდა მშვიდობიან აქციებს, როგორ სასტიკად უსწორდებოდა ხალხს. ამიტომ მათ არანაირი მორალური უფლება არ აქვთ, იმავე ხალხს მოუწოდონ აქციებზე შეკრებისაკენ. ნაციონალური მოძრაობა არის რეჟიმი, რომელიც უნდა დავგმოთ. ჩვენ მათ გავაცილებთ სირცხვილის კორიდორით. ეს იქნება მშვიდობიანი, თეატრალიზებული აქცია. ჩვენ მათ კიდევ ერთხელ შევახსენებთ თავიანთ სამარცხვინო წარსულს და მოვუწოდებთ მოსახლეობას — არ გახდნენ იმ სისხლიანი რეჟიმის მხარდამჭერები, რასაც ნაცბანდა წარმოადგენდა“, — აცხადებს დავით ბერიძე.

## მიდი მურმან, შეიარაღდი!



**საქართველოს** პარლამენტის ვიცესპიკერი მურმან დუმბაძე, თავდაცვის მიზნით, იარაღს ყიდულობს. მისი განმარტებით, რადგანაც სახელმწიფო ვერ ახორციელებს მისი და მისი ოჯახის დაცვას, ამიტომ იძულებილია, თავად დაიცვას საკუთარი თავი.

„არც გამსახურდიას, არც შევარდნაძის, არც სააკაშვილის მმართველობის პერიოდში და არც რეგიონში ასლან აბაშიძის რეჟიმის დროს არ მომხდარა ოჯახზე, საკუთრებაზე და ცოლ-შვილზე თავდასხმის დაანონსება. ახლა კი, „თავისუფალი თაობის“ ოჯახებში შემოჭრით გვემუქრება და ხელისუფლება ამის წინააღმდეგ არაფერს აკეთებს. საქართველო მხოლოდ კონსტიტუციური ქვეყანა არ არის, ეს არის კონსტიტუციურ-მორალისტური ერთობლიობა, ამიტომ მე არავის მივცემ ჩემი ოჯახის შეურაცხყოფის უფლებას. მე, როგორც პარლამენტის წევრს, მაქვს უფლება, ვატარო იარაღი და დავიცვა საკუთარი ოჯახი. სწორედ ამ უფლებას გამოვიყენებ“, — განაცხადა მურმან დუმბაძემ.

ფონდი „ქართუს“ განცხადება

## „მაესტროს“ უადგილო და მცდარი გადაცემა

**ფონდი „ქართუ“ ეხმიანება 2015 წლის 14 მარტს ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით გადაცემა „მაესტროს ცხრიანში“ გასულ სიუჟეტს, ფონდის საქველმოქმედო დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით.**

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ საკითხი იმ ჭრილში გაშუქდა, თითქოს საქველმოქმედო დახმარებების გაცემა კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან. სიუჟეტში გაკეთდა განგებ მცდარი მინიშნება, რომ დახმარებების ე.წ. „აღდგენა“ ბატონი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ პროცესებში შესაძლო დაბრუნებით არის განპირობებული. აღნიშნული მსჯელობა ყოველგვარ ლოგიკურ საფუძველს მოკლებულია და მხოლოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, საჭიროდ მივიჩნევთ, რომ განვმარტოთ შემდეგი:

ტელეკომპანია „მაესტროს“ სიუჟეტში გამოყენებული ტერმინები „შეწყვეტა“ და „აღდგენა“ სრულიად უადგილო და მცდარია, ვინაიდან თითოეულ ბენეფიციართან, რომელიც ფონდისგან წლების განმავლობაში იღებს საქველმოქმედო დახმარებას, ყოველწლიურად ფორმდება საქველმოქმედო დახმარების ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. შესაბამისად, მას შემდეგ, რაც სრულდება ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელახლა ხდება ახალი ხელშეკრულებების გაფორმება. მიმდინარე წელს, ისევე, როგორც გასულ წელს, ფონდი „ქართუ“ ხელოვნების დარგის საქველმოქმედო პროგრამას ახორციელებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დახმარებით. კერძოდ, სამინისტრო იღებს მიზნობრივ გრანტს ფონდი „ქართუსგან“ და შემდგომ თითოეულ ბენეფიციართან აფორმებს სათანადო ხელშეკრულებას, რაც საკმაოდ შრომატევად და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. ბენეფიციარებთან ხელშეკრულებების გაფორმებამდე ხდება სათანადო სამართლებრივი წინაპირობების დაცვა და შესაბამისი მოსამზადებელი პროცედურების გავლა როგორც ფონდის, ასევე, სამინისტროს მიერ, რაც, თავის მხრივ, გარკვეულ დროს მოითხოვს. სწორედ ამ მოსამზადებელი ეტაპითაა განპირობებული ის მოცემულობა, რომ ხელშეკრულებების გაფორმების პროცედურა წელსაც, ისევე, როგორც გასულ წელს, წარმოებს მარტის თვეში. ფონდის ყველა ბენეფიციარი სრულად ინფორმირებულია აღნიშნულის შესახებ. ასე რომ, საუბარი იმაზე, რომ მოხდა ფონდისგან დახმარებების შეწყვეტა, ხოლო შემდგომ, პოლიტიკური მოტივით აღდგენა, სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს და მხოლოდ დეზინფორმაციას წარმოადგენს.

ვიმედოვნებთ, რომ მომავალში მასმედიის საშუალებები არასწორ ცნობებს არ გაავრცელებენ და შემდგომში, ჩვენი ფონდის საქმიანობის გაშუქებისას, წინასწარ გადაამოწმებენ ინფორმაციას.

**ფონდი „ქართუს“ ადმინისტრაცია**

## ანაკლიის პორტის მშენებლობა ივნისში დაიწყება

**ანაკლიის პორტის მშენებლობა, სავარაუდოდ, 2016 წლის ზაფხულში დაიწყება. პროექტის განხორციელებისთვის ჩინური მხარე 5 მილიარდი დოლარის ოდენობის ინვესტიციას მოიზიდავს. 11 მარტს, პეკინში ხელი მოეწერა შეთანხმებას უმსხვილეს ჩინურ სახელმწიფო ენერგოკომპანია** Power China**-სა და ქართულ კომპანია** Anaklia Industrial Eco Park and Port Ltd**-ს შორის. გავრცელებული ინფორმაციით, ჩინური კომპანია 6 თვეში დაიწყებს შავი ზღვის სანაპიროზე, ანაკლიაში უმსხვილესი პორტის მშენებლობას. პორტის სიმძლავრე წელიწადში 100 მილიონი ტონა იქნება.**

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, ბრალდება თითქოს ანაკლიის პორტის პროექტის რეალიზაცია შეჩერებულია, სიმართლეს არ შეესაბამება. გიორგი კვირიკაშვილის ინფორმაციით, ახალი რეალიების გათვალისწინებით, პროექტი მთლიანად შეიცვალა, მისი მასშტაბები გაიზარდა.

„ერთი თვის წინ, ჩინეთიდან პირველი საკონტეინერო მატარებელი შემოვიდა, რის გამოც დღის წესრიგში დადგა ანაკლიის პორტის გამტარუნარიანობის გაზრდა და ახალი პროექტის ამ რეალიებზე მორგება“, — განაცხადა მინისტრმა.

პროექტის დამუშავებაში ქართულ მხარეს აქტიურ კონსულტაციებს უწევს, ბრიტანული და გერმანული კომპანიები. იურიდიულ საკითხებზე ბრიტანული ჯგუფი მუშაობს, ტექნიკურზე კი — გერმანული.

პორტის მშენებლობა ივნისში დაიწყება და შვიდ ეტაპად განხორციელდება. მშენებლობა წარიმართება რამდენიმე ფაზად პორტის სიმძლავრის ზრდის ეტაპების მიხედვით. როცა პორტის არსებული ტვირთბრუნვა მიაღწევს პორტის გამტარუნარიანობის 90%-ს, კომპანია ვალდებული იქნება დაიწყოს პორტის მშენებლობის შემდეგი ეტაპი. აქედან გამომდინარე, ინვესტორთა მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, მშენებლობის კონრეტული ვადა განსაზღვრული არ არის.



„ბიპიენის“ ინფორმაციით, ანაკლიის პორტი დაახლოებით ორი კვირით შეამცირებს ტვირთების გადაზიდვის ხანგრძლივობას, ჩინეთიდან და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან ევროპამდე. მნიშვნელოვანია, რომ პორტს უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს 6500 და უფრო მეტი კონტეინერით დატვირთული დიდი მოცულობის გემები, რაც საქართველოში, ჯერჯერობით პრობლემაა. პორტში შეიქმნება რამდენიმე ათასი სამუშაო ადგილი და მოზიდული იქნება მსხვილი ინვესტიციები.

პორტის მაქსიმალური გამტარუნარიანობა 100 მლნ ტონა იქნება, თუმცა, შვიდ პირველ სამ ეტაპზე, მშენებლობის დაწყებიდან 12 წლის ვადაში, 40 მლნ ტონა ტვირთის გამტარუნარიანობის შესაძლებლობა იქნება (მესამე წელს — 7 მლნ ტონა, მეშვიდე წელს — 20 მლნ ტონა და მეთორმეტე წელს — არანაკლებ 40 მლნ ტონა).

**ბექა დანელია**

ავადმყოფ ლარს ვერ უშველა

## პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2014 წელს

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ცნობით, 2014 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 მილიარდ 272 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2013 წლის დაზუსტებულ მაჩვენებელს 35 პროცენტით აღემატება და 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (ყველაზე დიდი ოდენობით უცხოური ინვესტიცია საქართველოში 2007 წელს შემოვიდა — 2 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი).**

2014 წელს შემოსული ინვესტიციების 21 პროცენტი რეინვესტირებული თანხებია, რაც გულისხმობს პირველადი ინვესტიციიდან მიღებული შემოსავლების ხელმეორედ დაბანდებას. ინვესტიციების სახით შემომავალი ნაკადები სულ 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს, აქედან მილიარდ დოლარამდე თანხის მეშვეობით ინვესტორის მიმართ ვალდებულებები შემცირდა.

**2014 წელს განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, უმსხვილესი ინვესტორი ქვეყანა ნიდერლანდებია (26 პროცენტი), მეორე და მესამე ადგილებზე აზერბაიჯანი (24 პროცენტი) და ჩინეთია (15 პროცენტი). ამ სამი უმსხვილესი ქვეყნის წილმა მთლიან ინვესტიციებში 65 პროცენტი შეადგინა.**

სექტორულ ჭრილში გასულ წელს განხორციელებული **ინვესტიციების 27 პროცენტი — 343 მლნ აშშ დოლარი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში დაიხარჯა. მეორე ადგილზეა მშენებლობა, 295 მლნ აშშ დოლარით, და მესამეზე - დამამუშავებელი მრეწველობა,174 მლნ აშშ დოლარით.**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დამატებით იმ საწარმოთა სიას აქვეყნებს, სადაც განხორციელდა ინვესტიციები. **ინვესტიციების უმსხვილესი მიმღებია** BP Group, სადაც აზერბაიჯანული ინვესტიცია ჩაიდო. **მეორე ადგილზეა სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი „ჰუალინგ ინტერნეიშენალი“,** ჩინური ინვესტიციით. ნიდერლანდური ინვესტიციები უმეტესად ენერგეტიკის სფეროში იყო მიმართული და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიაში“ განხორციელდა. ამავე ქვეყანამ ჩადო ინვესტიციები დამამუშავებელ მრეწველობაში, კერძოდ, „აიდიეს ბორჯომი საქართველოში“, ასევე RMG Copper-ში, „შავი ზღვის ტერმინალში“, „სილქნეტსა“ და „თელასში“, შპს „ლუკოილ ჯორჯიასა“ და „რომპეტროლ საქართველოში“.

აშშ-ის ინვესტიციები მიმართული იყო შპს „მაგთიკომის“ მისამართით. რუსთავის „აზოტმა“ მიიღო ლუქსემბურგის ინვესტიციები დამამუშავებელი მრეწველობის დარგში. კვიპროსიდან განხორციელდა ინვესტიციები შპს ნინოწმინდის ნავთობკომპანიის წარმომადგენლობაში.

სავალუტო კრიზისის ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების, როგორც უცხოური ვალუტის ერთ-ერთი წყაროს ზრდა. თუმცა, როგორც ჩანს, გაზრდილი ინვესტიციების მიუხედავად, ლარის გამყარებაზე ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანი გავლენა ვერ იქონია.

**ნინო ევგენიძე**

# საქართველოს მიწა განსაცდელშია!

**საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნო-ფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.**

მიწა ერისთვის მისი ყოფიერების ტერიტორიაა, ფიზიკურადაც და ფსიქიკურადაც. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი ბაზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და, ფაქტობრივად, წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის სულისდგმისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

ქართველი ერის სიცოცხლე განუყოფელია საქართველოს მიწისგან. ვერც დიასპორის სახით, ვერც საკუთარ ქვეყანაში უმცირესობის სახით ქართველი ერი ვერ იარსებებს. ამას ობიექტური მიზეზები გააჩნია:

I. ქართველმა ერმა იცის, რომ მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მისი სამოსახლო მიწა-წყალი დედამიწაზე ერთ-ერთი საუკეთესოა, მის მეზობლობაში კი — ყველაზე საუკეთესო. ეს ქართველს ანიჭებს იმის განცდას (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მის მიერ გაღებული მსხვერპლი ამ მიწის შესანარჩუნებლად უაზრო არ არის: იგი თავის შთამომავლობას დანარჩენ კაცობრიობასთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ ასეთი მოარული ფრაზები, როგორიცაა „მშვენიერი საქართველო“, „ტურფა საქართველო“, „ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტო ჩემო სამშობლო მხარეო“, „აქაურზე უკეთეს წყალს ვერსად დალევ“, „ჩვენზე უკეთესი სალვინე ყურძენი არსად მოდის“ და ა.შ. მხოლოდ ლამაზი სიტყვები არ არის. ქართველმა კაცმა ისტორიულად იცის, რომ საქართველოს მიწის დაკარგვით იგი და მისი შთამომავლობა მომავალს კარგავენ.

II. ქართველმა კაცმა იცის, რომ საქართველოს სამხედრო, კულტურული, მორალური თვალსაზრისით, ზოგადად — მოსახლეობის ხარისხის თვალსაზრისით, აგრეთვე საკუთარი ცხოვრების მოწყობის ნიჭის თვალსაზრისითაც მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი უჭირავს. ამაში მას ეგულება ერთ-ერთი უპირატესობა, რომელსაც იგი თავის შთამომავლობას უტოვებს. ქართველმა იცის (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც), რომ მისი ერის მაღალი ხარისხი მნიშვნელოვანწილად განპირობებულია მისი ქვეყნის ბუნებრივი მახასიათებლებით (მაგალითად, ყველას ესმის, რომ ადამიანი, რომელსაც თვეში ერთხელ მაინც მთაზე შედგომა და ქვეყნის გადახედვა უწევს, უფრო მეტად არის აღჭურვილი წარმოსახვითა და აქტიური აზროვნების უნარით, ვიდრე ის, ვინც ტრამალში ცხოვრობს).

III. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის მრავალგვარობა ქართველ კაცს (ცნობიერადაც და ქვეცნობიერადაც) ანიჭებს იმის განცდას, რომ მასაც და მის მოდგმასაც უნარი აქვთ სრულფასოვნად იშრომონ და იბრძოლონ ყველანაირ ექსტრემალურ პირობებში, სიცხეშიც და ყინვაშიც, მთაშიც და ბარშიც, წყალშიც და ხმელეთზეც, ამდენად, საქართველოს მიწა-წყალი ქართველს უღირს სხვა ყოველივესთან ერთად, როგორც თაობათა აღზრდის ოპტიმალური ბაზა - საქართველოს ბუნება ადამიანს არც ანაზებს, არც გაუსაძლისი პირობებით ჩაგრავს. იგი მას განვითარების საუკეთესო პირობებს უქმნის!

**საქართველოს კანონმდებელს არა აქვს უფლება ქართველი ერის (საქართველოს მოქალაქეთა კრებულის) ამ ბედნიერ მემკვიდრეობას, მის წინაპართა სისხლით დაცულს თუნდაც ერთი გოჯი მოაკლოს. საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც საცხოვრისის ისტორიულად ჰარმონიზებული ერთიანი სისტემა ვერ იფუნქციებს მისი ნაწილ-ნაწილ ხელყოფის (გასხვისების) შემთხვევაში.**

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა ერისთვის არის არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური და კულტურული ფასეულობა. არც სახალხო-სამეურნეო მოსაზრებიდან, არც მისდამი საზოგადოებრივი ინტერესებისა და სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ შეიძლება მიწა ავტომატურად გაუთანაბრდეს სხვა ქონებრივ სიკეთეებსა და ღირებულებებს, სამართლებრივად კი იგი ვერ იქნება მიჩნეული და მიღებული, როგორც უძრავი ქონება.

მიწა არის შეუცვლელი, გაუმრავლებელი და „ამოწურვადი“ (შეზღუდული) რესურსი. მოსახლეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად მცირდება დაუმუშავებელი სოფლის მეურნეობის სავარგულები და აქედან გამომდინარე, იწურება რესურსიც. დედამიწაზე იაფი საკვების ეპოქა დასრულდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ უმეტეს ქვეყნებში ყველაზე მკაცრი შეზღუდვები წესდება იურიდიული პირების მიმართ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვაზე. ეს რომ ასე არ იყოს, მსოფლიოს ნებისმიერი მდიდარი კომპანია რამდენიმე წუთში შეისყიდის გაჭირვებული მცირე ქვეყნის სავარგულებს მთლიანად.

ზოგჯერ არსებობს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიწის გასხვისებაზე სპეციალური, დამატებითი ნებართვის მიღების შემაფერხებელი პროცედურა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, ქონების შესყიდვაზე პირდაპირი აკრძალვებიც.

საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია თავისი მოქალაქის წინაშე, რომ უზრუნველყოს გარანტირებული პირობები იმისა, რომ საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელი რესურსები არ შემცირდეს და უზრუნველყოს იმიგრაციის საკმარისი კონტროლი, საქართველოს მოქალაქეთა გამრავლების ტემპების გათვლით, რომ საქართველოს მოქალაქეთა შთამომავლობა მომავალში არ დადგეს სასურსათო, ეკოლოგიური, კრაუდინგული, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური და სხვა სახის მძიმე გამოწვევების წინაშე.

იმიგრაციული ნაკადების უკონტროლობა და საქართველოს მოქალაქეების უკიდურესი გაღარიბება უკვე იმის სრულიად რეალურ საფრთხეს ქმნის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიის დიდი ნაწილი სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა ხელში აღმოჩნდება. თან ეს ქვეყნები (ჩინეთი, ინდოეთი, არაბეთის რიგი სახელმწიფო, თურქეთი, ირანი), რომლებიც უკვე გამოხატავენ ქართული მიწით დაინტერესებას, გამოირჩევიან უმწვავესი ჭარბმოსახლეობით და მცირემიწიანობით. ამ ქვეყნების დემოგრაფიული და საფინანსო-ეკონომიკური პოტენციალი იძლევა ვითარების დროის უმოკლეს პერიოდში ჩვენთვის ტრაგიკულად შეცვლის პროგნოზს. უკვე ვხედავთ ამ პროცესის შედეგებს. სტატუსდაკარგული ქართული სოფელი კარგავს ისტორიულ, სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ ფუნქციას. ამიტომაც იზრდება დაძაბულობა ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობასა და ჩამოსახლებულ უცხოელებს შორის.

დღეს საქართველოს სასიკვდილო საფრთხე ემუქრება. მის ძირითად სიმდიდრეს, მის მიწას, უპასუხიმგებლო ადამიანები უცხოელებზე გაყიდვას უპირებენ. საქართველოს კანონმდებელნი იმის უშუალო ცდუნების წინაშე დგანან, რომ საარაკო ღალატი ჩაიდინონ და ახალი კანონპროექტის თანახმად, ჩვენი მიწის განიავების იურიდიული პირობები შექმნან.



საქართველოს უპასუხისმგებლო და უმეცარმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს გააუქმა უამისოდაც უაღრესად არასრულყოფილი, სახელდობრ, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში გათვალისწინებული შეზღუდვები უცხოელთა მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასა და საკუთრებაში ქონაზე. ამით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწა — ქართველი ერისა და საქართველოს ყველა მოქალაქის და მათი შთამომვლობის სასიცოცხლო და საარსებო ბაზა აწ და მარადის გატანილი აღმოჩნდა მსოფლიოს ღია ბაზარზე, სადაც, დღესდღეობით და უახლოეს წლებში საქართველოს საყოველთაო გაღატაკების ფონზე, მოსახლეობის მთელი მასა არაკონკურენტუნარიანია საქართველოს მიწის მითვისების უცხოელ მსურველებთან შედარებით.

კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ„ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში ქართული საზოგადოების „ზურგს უკან შევიდა“. მისი საჯარო განხილვა არ მომხდარა. საზოგადოებამ კანონპროექტზე მსჯელობა დაიწყო მას შემდეგ, რაც მისი ტექსტი საქართველოს პარლამენტის ელექტრონულ გვერდზე დაიდო.

კანონპროექტმა ერთმნიშვნელოვნად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა, როგორც აკადემიურ წრეებში, ისე ფართო საზოგადოებაში. მასზე არც ერთი დადებითი გამოხმაურება არ ყოფილა საჯარო სივრცეში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კანონპროექტში (არც მის „ალტერნატიულ ვარიანტში,“ რომელიც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტშია შემუშავებული), არ ჩანს მთავრობის ხედვა და სტრატეგია სასოფლო-სამეურნეო მიწის მიმართ. ასევე, არ ჩანს, ანალიზზე დაფუძნებულ რა გამოწვევებს პასუხობს იგი. კანონპროექტი უნდა ემსახურებოდეს ხედვის, სტრატეგიისა და დასახული მიზნების განხორციელებას და არა შიშველი პრინციპების ჩამონათვალს. თუ პარლამენტი ეცდება ის სულისკვეთება გადაიტანოს ოფიციალურ ვერსიაში, რომელიც სამუშაო ვარიანტშია და რომელიც იურიდიული პირების ინტერესების ლობირებითაა გაჟღენთილი, ეს იქნება ქართველი ხალხის მოტყუების მცდელობა. ეს არ გამოვა. საქართველოს პარლამენტის წევრებმა მხარი არ უნდა დაუჭირონ ქართული მიწის განიავების დამდგენი კანონის მიღებას.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ:

— საქართველო, როგორც დედამიწის ნაწილი, ეკუთვნის ქართველ ერს, როგორც კაცობრიობის ერთ-ერთ ნაწილს. ქართველი ერის უფლებაა, ეს ტერიტორია (მიწა) გამოიყენოს თავისი საზოგადოების მშენებლობისთვის თავისი ფიზიკური, მენტალური, სულიერი შესაძლებლობების, მიდრეკილებების, ტრადიციებისა და გემოვნების მიხედვით, ანუ ეძებოს საკუთარი გზები კაცობრიობის ერთობლივი მარადიული მიზნებისა და იდეალების რეალიზაციისთვის.

— საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მოქალაქეების შთამომავლობა დაიცვას არა მხოლოდ სამხედრო, ეკოლოგიური, ეპიდემიური და სხვა მასობრივი კატასტროფებისგან, არამედ სასურსათოსგანაც (ანუ სტაბილური და მასობრივი შიმშილობისაგან) — კონკრეტულად, მას მუდმივად და უცვლელად უნდა ჰქონდეს ხელთ ის მინიმალური რესურსი, რომ თავის მოსახლეობას ბიოლოგიურად აუცილებელი კალორიები მისცეს. ამისი ერთადერთი რეალური გზაა თავისსავე კონტროლირებად საზღვრებში შეინარჩუნოს ის საწარმოო სიმძლავრეები, რომლებიც საკმარისია, რათა თავის მოქალაქეთა შრომის საჭირო ნაწილი საკვებად მოსახმარ მასალად გარდაქმნას. ასეთი საწარმოო სიმძლავრე, რომელსაც ალტერნატივა არა აქვს და ვერ ექნება, არის მხოლოდ მიწა.

— თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს უდგება საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, მაშინ უყოყმანოდ იწირება თეორიის მოთხოვნა. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ.

— ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

— ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა;

— მიწა არა მხოლოდ პროდუქციის წარმოების წყაროა, არამედ ქართული მოდგმისა და ერის განმტკიცების ფაქტორიც;

— ქვეყნის სიძლიერე გლეხკაცის მიწასთან მარადიულ კავშირშია;

— ისტორიულად, სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხკაცი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც“ იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის, თავისი სახელმწიფოს, დაცვის სახით იცავდა და იცავს. ეს ბუნებისა და საზოგადოების ურყევი კანონია. ეს ფსიქოლოგიური კანონზომიერება მარადიულია.

**— მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფო ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი.**

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

**ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება.**

დღეს ქართველმა ერმა მთლიანად იცის, რომ მოცემულ პირობებში ჩვენი მიწის უცხოელებზე განუკითხავი გასხვისება ჩვენი ქვეყნისთვის მავნეა. საქართველოს პარლამენტმა ხელი უნდა აიღოს შემოსული არასასურველი, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესთა უგულებელმყოფელი კანონპროექტის განხილვაზე და ორიენტაცია მოახდინოს მიწათსარგებლობის ახალი რეალისტური კანონის (მიწის კოდექსი) შემუშავებაზე უახლოესი თვეების მანძილზე.

**ქართულ საზოგადოებას მოქმედება უსწრაფესად მართებს, რათა ხელი არ ახლონ ჩვენს მარადიულ სამკვიდრებელს.**

**საზოგადოების „საქართველოს მიწის გუშაგი“ სახელით: მერაბ ბოხუა, მამუკა გიორგაძე, რევაზ გოგოხია, თენგიზ დიხამინჯია, მერაბ ვაჩნაძე, ჯემალ კაციტაძე, პაატა კოღუაშვილი, გულნარა მარგველაშვილი, გურამ მაქაცარია, ზაზა მგალობლიშვილი, ანზორ მესხიშვილი, ზურაბ მიქელაძე, გრიგოლ მურღულია, ნოდარ ნათაძე, ზაურ ნაჭყებია, იური პაპასქუა, ოთარ ჟორდანია, ბადრი რამიშვილი, ყარამან ფაღავა, ლევან ფრუიძე, პაატა ცნობილაძე, მერაბ შათირიშვილი, ლევან ჩაჩუა, შოთა ჩხეიძე, ნიკო ჩიხლაძე, ზაურ ჯინჯოლავა, დოდო ჯოლოხავა, მიხეილ ჯიბუტი.**

## ფარხად მამედოვი:

# ერთად უნდა გავძლიერდეთ!



**თბილისში საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული სტრატეგიული კვლევების ცენტრის (SAM) ერთობლივი ორგანიზებით, საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის რეგიონალური თანამშრომლობის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია იმართება. აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რეგიონული თანამშრომლობის პერსპექტივებსა და გამოწვევებზე „ინტერპრესნიუსი" აზერბაიჯანის პრეზიდენტთან არსებულ სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის დირექტორს ფარხად მამედოვს ესაუბრა.**

**— ბატონო ფარხად, თქვენი ცენტრის მონაწილეობით თბილისში გაიმართა კონფერენცია „აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის სამმხრივი თანამშრომლობა და რეგიონალური პოლიტიკის მომავალი, პერსპექტივები და გამოწვევები". კონკრეტიკაზე გადავალთ, თქვენი აზრით, რამდენად აქტუალურია აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის თანამშრომლობის პერსპექტივები?**

— აზერბაიჯანს, საქართველოსა და თურქეთს ბევრი პროექტი და პლატფორმა აერთიანებთ. შედგა სამივე ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა, მუდმივად იმართება საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრები. 6 მარტს ბათუმში აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის მეწარმეთა ბიზნესფორუმი გაიმართა, რომელშიც სამივე ქვეყნის ეკონომიკის მინისტრებმა მიიღეს მონაწილეობა. შარშან ნახჩევანში პირველად გაიმართა სამივე ქვეყნის სამხედროების ერთობლივი სწავლებები, რომელშიც ჩვენი ქვეყნების თავდაცვის მინიტრებმა მიიღეს მონაწილეობა.

**— უკრაინის აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებისა და პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ რუსეთის ამბიციების ფონზე, უკრაინის გამო რა წინააღმდეგობები არსებობს დასავლეთს, რუსეთსა და ამერიკასა და რუსეთს შორის, თქვენი აზრით, რა რეალური გამოწვევების წინაშე დგანან აზერბაიჯანი და საქართველო?**

— პოსტსაბჭოთა სივრცე არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური თვალსაზარისით არ არსებობს. ოდესღაც ამ სივრცის ქვეყნებმა განვითარების საკუთარი გზა აირჩიეს. დღეისათვის ისინი ჩართული არიან სხვადასხვა რეგიონულ პროექტებში, რომლებსაც თავისი ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ, რისთვისაც იყენებენ მათ ხელთ არსებულ ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ რესურს.

აზერბაიჯანმა და საქართველომ ერთობლივად საკმაოდ დიდი ეკონომიკური პროექტები განახორციელეს. მხედველობაში მაქვს ნავთობსადენი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენი, ამ წლის ბოლოსათვის დასრულდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო გზის მშენებლობა. ხორციელდება ინვესტიციების ჩადება ამა თუ იმ პროექტებში. აზერბაიჯანის სანავთობო კომპანია საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი ინვესტორი და ყველაზე დიდი გადასახადის გადამხდელია. ამ ფორმატში თანამშრომლობის ფარგლებში ყველა ქვეყანას თავისი ფუნქცია აქვს.

რაც შეეხება უკრაინაში მიმდინარე პროცესებს. ჩვენი ქვეყნებისათვის ყველაზე დიდი საფრთხე გახლავთ მოუგვარებელი კონფლიქტები და ის, რომ ჩვენი ქვეყნების ტერიტორიების გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია. აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების მოუგვარებლობამ გამოიწვია ახალი კონფლიქტების იქ გაჩენა, სადაც კონფლიქტების წარმოქმნა მოსალოდნელი სულაც არ იყო.

რაც ახლა უკრაინაში ხდება, საერთაშორისო სამართლის დარღვევით ხდება. რუსეთი, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას იყენებს მის მიერვე აღებული ვალდებულებების შესრულებისას. პრეზიდენტმა ალიევმა განაცხადა, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოუწესრიგებლობა გახდა პრეცედენტი იმისათვის, რაც უკრაინაში ხდება. ჩვენი ქვეყნებისთვის გამოწვევაა, რომ აქამდე არსებული საერთაშორისო ნორმები და პრინციპები, რომლებითაც აზერბაიჯანი და საქართველო აპელირებენ, დღეს ირღვევა და არ მუშაობს, რაც მსოფლიოში ქაოსის ვითარებას ქმნის და ყველა ქვეყანას უწევს, თავად გადაწყვიტოს ის პრობლემები, რომელიც მის წინაშე დგას.

ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინის პროცესში მნიშვნელოვანი ელემენტია დასავლეთის მიერ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის გამოყენება. თუ ყირიმის ოკუპაციის შემდეგ ევროკავშირმა და აშშ-მა რუსეთს დაუწესა ეკონომიკური სანქციები, ასევე სანქციები დაუწესდა უკრაინის აღმოსავლეთში სეპარატისტულ რეგიონებს, ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის მოქალაქეებს ეკრძალებათ ყირიმის, ლუგანსკისა და დონეცკის რესპუბლიკებში არა მარტო შესვლა, არამედ ბიზნესის წარმოება, მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში ეს ნორმა არ მოქმედებს. აგრესორი სომხეთის მიერ არ წესდება არანაირი ეკონომიკური სანქციები, ეს მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა აღიარებს აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას. მეტიც, მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის ხელმძღვანელები თავისუფლად გადაადგილდებიან ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში და იწვევენ ამ ქვეყნებში მცხოვრებ ეროვნებით სომეხ ბიზნესმენებს ყარაბაღში ინვესტიციების განსახორციელებლად.

ამიტომაცაა, რომ ჩვენ ვკითხულობთ — რატომ ხდება ასე, რომ რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციის გამო გამოიყენება ეკონომიკური სანქციების მთელი პაკეტი, ხოლო ჩვენს შემთხვევაში ამგვარი სანქციები არ გამოიყენება.

**— უკრაინაში მიმდინარე პროცესების ფონზე რამდენად დიდია აზერბაიჯანსა და საქართველოსთვის საფრთხის დონე და რა უნდა გააკეთონ ბაქომ და თბილისმა, რომ მინიმუმამდე დავიდეს რუსული საფრთხე?**

— აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის თანამშრომომლობის პოტენციალი დიდი და უალტერნატივოა. ჩვენ მოკლე დროში შევძელით, შეგვექმნა თანამშრომლობის პლატფორმა.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა აღარ იქნება მხოლოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონალური პროექტი, იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს თურქეთთან და ევროპასთან ჩინეთისა და შუა აზიის რეგიონის დაკავშირებაში. ისეთი პატარა ქვეყნებისათვის, როგორც აზერბაიჯანი და საქართველოა, უმნიშვნელოვანესია, პირველ რიგში, ეკონომიკურად გაძლიერდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად თვითკმარი იქნებიან ჩვენი ქვეყნები, საფრთხის ხარისხი, ყველა მხრიდან შემცირდება. რამდენადაც ძლიერი ვიქნებით თავად ეკონომიკურად, მით ნაკლები გვექნება საფრთხე. ასეთ ვითარებაში ოპონენტებს სულ მეტად ნაკლები შანსი ექნებათ, ჩაერიონ ჩვენს საშინაო საქმეებში და მოახდინონ ჩვენივე საგარეო კურსის კორექტირება.

**— ეკონომიკურ გაძლიერებასთან დაკავშირებული საკითხები გასაგებია, მაგრამ რაც შეეხება უსაფრთხოების პრობლემებს, ანუ სამხედრო შემადგენლის გაძლიერებას? აზერბაიჯანული პრესა აქტიურად წერდა თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე...**

— აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის ხარისხი ყოველწლიურად მაღლდება. ამ სფეროში ჩვენს შორის სამმხრივი თანამშრომლობა საინტერესოა იმით, რომ თურქეთი ნატოს სრულფასოვანი წევრია და აზერბაიჯანი და საქართველო ნატოსთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. თუ საქართველო აპირებს, ნატოს წევრი გახდეს, აზერბაიჯანს ასეთი გეგმები არა აქვს. აზერბაიჯანი შეუერთდა ნატოში გაუწევრიანობის მოძრაობას. ნატოსთან თანამშრომლობა აზერბაიჯანის დამოუკიდებელი არჩევანია და ჩვენ ვაგრძელებთ მათთან სამხედრო-ტექნიკურ სფეროში თანამშრომლობას.

რაც შეეხება ამ პროცესში თურქეთის როლს. იგი რეგიონალური მოთამაშეა და მსოფლიოს რამდენიმე რეგიონშია წარმოდგენილი. შავი ზღვის აუზსა და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოებისა და მშვიდობის შენარჩუნების საქმეში მისი როლი დიდია.

**— ბევრ მითქმა-მოთქმას გაიგონებთ ბაქოსა და მოსკოვის დაახლოებაზე. რეალურად რა ხდება?**

— კი, მეც მსმენია და შემიძლია, გითხრათ, რომ ეს სწორედ რომ მხოლოდ მითქმა-მოთქმაა. აზერბაიჯანი რუსეთის ფედერაციასთან მრავალ სფეროში თანამშრომლობს, ანუ შეიძლება იქვას, რომ ეს თანამშრომლობა მრავალპროფილურია. ეს ეხება ეკონომიკურ სფეროს და უმაღლეს დონეზე პირველი პირების დიალოგსაც და პარლამენტებს შორის თანამშრომლობასაც. რუსეთთან თანამშრომლობის დიდი პოტენციალია სამხედრო-ტექნიკურ სფეროში. აზერბაიჯანი რუსეთისაგან იარაღს ყიდულობს. ამ სფეროში თანამშრომლობა რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან ეს ხელს უწყობს ჩვენი არმიისა და სახელმწიფოს მშენებლობას.

**— ანუ, ერთი მხრივ, ბაქო ნატოსთან აქტიურად თანამშრომლობს, მაგრამ იმავდროულად ახერხებს რუსეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობას და 3 მილიარდი დოლარის იარაღის შეძენასაც. . .**

— სამწუხაროდ, სომხური დიასპორის გავლენის გამო, არც ევროკავშირი და არც აშშ აზერბაიჯანზე იარაღს არ ყიდის. საუბარია იმ ტიპის შეიარაღების მოწოდებაზე, რომელსაც ჩვენ რუსეთიდან ვყიდულობთ.

**— სხვადასხვაგვარი ინფორმაცია ვრცელდება რუსეთსა და თურქეთის ურთიერთობებზე. თქვენ როგორ დაახასიათებდით მოსკოვსა და ანკარას ურთიერთობებს? და კიდევ, თქვენი აზრით, ეს თანამშრომლობა რამდენად თანხმდება აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის რეგიონულ თანამშრომლობასთან?**

— პირველ რიგში, მინდა, გითხრათ, რომ აზერბაიჯანი თურქეთის ეკონომიკაში 2020 წლამდე 20 მილარდ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელებას აპირებს. ეს თანხები ჩაიდება ტრანსანატოლიური გაზსადენისა და ქალაქ იზმირთან უდიდესი ქიმიური კომპლექსის მშენებლობებში. 17 მარტს, აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის პრეზიდენტები მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ ერზრუმში კაპანის გაზსადენის მშენებლობის დაწყებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. თურქეთს თავისი სტრატეგია აქვს. დაზუსტებული გათვლებით თურქეთში სულ უფრო იმატებს ბუნებრივ გაზზე მოთხოვნილება. ასე რომ აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან თურქეთის გაზით უზრუნველყოფა კარგა ხანია, დაგეგმილია.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა უარი თქვა „სამხრეთ ნაკადის" მშენებლობაზე, ამ პროცესში აზერბაიჯანი ჩაერთო. თურქეთი ხდება მნიშვნელოვანი რეგიონული ენერგეტიკული ჰაბი, რომელიც ბალკანეთის ქვეყნების გავლით ენერგორესურსებს მიაწვდის ევროპას. თურქეთს უარი არ უთქვამს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, კერძოდ, აზერბაიჯანის წინაშე აღებულ ვალდებულებებზე, მაგრამ იმავდროულად იგი ითანამშრომლებს რუსეთთან. უკვე ცნობილია, რომ რუსეთი თურქეთში ააშენებს ატომურ ელექტროსადგურს და ამ მიმართულებით მუშაობა დაწყებულია.

სხვათა შორის, თურქეთი არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ეკონომიკურ სანქციებს. იგი დღეს რუსეთში სოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებელია. რუსეთსა და თურქეთს შორის თანამშრომლობა ორივე მხარისათვის მომგებიანია.

**— აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთს შორის რა ახალი და რეალური ეკონომიკური პროექტების განხორციელება იგეგმება, რომელთა რეალიზაცია უკვე დგას ჩვენი ქვეყნების დღის წესრიგში?**

— მას შემდეგ, რაც საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირებული ურთიერთობების შესახებ შეთანხმებას, ახალი რეალობა ჩამოყალიბდა. ჩვენ სამმხრივ ურთიერთობებში ორი ქვეყანა თურქეთი და საქართველო პრაქტიკულად უკვე არიან ევროკავშირის საბაჟო კავშირის წევრები. ეს აზერბაიჯანს უპირატესობას აძლევს. ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მონაკვეთის ამოქმედების შემდეგ ევროკავშირთან საბაჟო საზღვარი ჩვენსა და საქართველოს შორის იქნება. ეს აზერბაიჯანს საშუალებას აძლევს, უფრო აქტიურად განახორციელოს თავისი პროექტები საქართველოში.

საინტერესო პროექტებია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და ენერგეტიკის სფეროებში. სამივე ჩვენს ქვეყანას აქვს პოტენციალი, რომელიც ბოლომდე რეალიზებული არაა. საქართველოში ძალიან ბევრი პატარა მდინარეა, რომელზეც შეიძლება ელექტროსადგურების აშენება. თურქეთის აღმოსავლეთ პროვინციებს კი ელექტროენერგიის ნაკლებობა აქვთ, შესაბამისად, მცირე ჰესების მშენებლობის პროექტების რეალიზებას აქვს პერსპექტივა. საქართველოში ამგვარი პროექტების რეალიზაციაზე აზერბაიჯანელი ბიზნესწრეების წარმომადგენლებმა დაიწყეს ფიქრი. ამისათვის საჭირო იყოს შესაბამისი ატმოსფერო, კანონმდებლობის თვალსაზრისითაც ბევრი რამ იქნება გასაკეთებელი და სამივე ქვეყნის მთავრობებმა სინქრონულად იმუშაონ. ჩვენს ორ ქვეყანას დიდი პოტენციალი აქვს ტურისტული პოტენციალის იმ კუთხით განვითარებაზე, რომლის დროსაც მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოში აზერბაიჯანიდან და აზერბაიჯანში საქართვლოდან ტურისტების რაოდენობა.

**ესაუბრა
ბენო კობაიძე**

**ალიან-ჩალიანი**

## წყალტუბოს სპა კურორტის განვითარების პროექტი კანში წარადგინეს

**საპარტნიორო ფონდის მიერ მომზადებული წყალტუბოს სპა კურორტის განვითარების პროექტის პრეზენტაცია საფრანგეთის ქალაქ კანში, MIPIM 2015-ის უძრავი ქონების საერთაშორისო გამოფენაზე გაიმართა.**

**გამოფენაში საპარტნიორო ფონდის მხრიდან ფონდის საინვესტიციო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი დანელია მონაწილეობდა, რომელმაც პროექტის პრეზენტაციისას ასევე ისაუბრა საპარტნიორო ფონდის საქმიანობის, მანდატის და ფონდის მიერ უძრავი ქონების სექტორში განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების შესახებ.**

**წყალტუბოს კურორტის აღორძინების მიზნით საპარტნიორო ფონდმა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Kohl & Partner-თან ერთად ერთ დროს სახელგანთქმული კურორტის შესაძლებლობები გამოიკვლია და მისი განვითარების კონცეფცია შეიმუშავა.**

**როგორც კონფერენციაზე აღინიშნა წყალტუბოს საკურორტო ზონის რეაბილიტაცია რამდენიმეწლიანი პროექტია და მოიცავს თერმული აბანოების აღდგენას, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასტუმროების რეაბილიტაციას, თანამედროვე ტექნიკით და სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი სასტუმროების აშენებას, სამედიცინო და სპა ტურიზმის განვითარებას, საბავშვო გასართობი ცენტრების და წყლის ატრაქციონების აშენებას, რესტორნების განვითარებას, გოლფის სათამაშო მოედნის მოწყობას, სავაჭრო ცენტრების გახსნას და ტროპიკული ბაღების გაშენებას.**

**ინტერპრესი**

# ვინ რატომ და როგორ უშლის ხელს მეწარმეობის განვითარებას და ხალხის დასაქმებას?



**„საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელი სტუმარია პოლიტიკოსი და ცნობილი ბიზნესმენი, პოლიტემიგრანტი ლევან ქიქინიძე.**

**– ბატონო ლევან, როდის დაბრუნდით იძულებითი ემიგრაციიდან საქართველოში?**

– 2014 წლის მაისში.

**– მე ძალიან კარგად ვიცი, რომ თქვენ მეწარმე, მეურნე კაცი ხართ. არა მარტო აჭარაში, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბითაც კი მნიშვნელოვანი სამეურნეო თანამდებობები გეჭირათ. იყავით აჭარის მინისტრი, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. ამიტომ სულაც არ მიკვირს, რომ ეს ჩინებული საწარმო მოაწყვეთ. საიდან გაგიჩნდათ ამის იდეა?**

– სიმართლე გითხრათ, როცა 10-წლიანი ემიგრაციის შემდგომ საქართველოში დავბრუნდი, ჩემი ძველი ბიზნესსაქმიანობის აღდგენა მინდოდა. ამ იდეას ხელი შეუწყო იმან, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა ღარიბაშვილმა 2014 წლის 1 ივნისს გააკეთა განცხადება, რომ საქართველოში იწყებოდა მოძრაობა „აწარმოე საქართველოში“. გადავწყვიტე, ჩემი წვლილი შემეტანა ამ ახალ მოძრაობაში და ჩავიფიქრე ხილის გადასამუშავებელი საწარმოს შექმნა. აქვე მინდა ვთქვა, რომ მოხიბლული ვიყავი ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის წინასაარჩევნო პროგრამებით და ვთვლიდი, თუ ის, რასაც ისინი ხალხს ჰპირდებოდნენ, შესრულდებოდა, ქვეყანა კრიზისიდან გამოვიდოდა, დაიძლეოდა ის ნეგატივი, რაც ქვეყანას წინა ხელისუფლებამ დაუტოვა. ჩემი მიზანი იყო ქვეყანაში მოყვანილი ხილის გადამუშავება, ეკოლოგიურად სუფთა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება და ექსპორტი.

ბუნებრივია, ყველაფერ ამას ხალხის დასაქმება და მოსახლეობის შემოსავლის გაზრდა მოჰყვებოდა. დამეთანხმებით, აჭარისათვის ერთ საწარმოში 72 კაცის დასაქმება (ამდენი კაცია ჩვენთან დასაქმებული) და გლეხობიდან ასობით ტონა ხილისა და ციტრუსის შეძენა, პატარა საქმე არაა. ამას დაუმატეთ ის ასიათასობით ლარი, რომელსაც საწარმო ბიუჯეტში შეიტანს, ქვეყნის სასარგებლოდ გადახდილი სხვა ანარიცხები,.

ჩვენი საკონსერვო ქარხანა იმითაც გამოირჩევა, რომ აქ დამონტაჟებულია უახლესი მოდელის იტალიური და გერმანული მანქანა-დანადგარები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გადავამუშაოთ არასტანდარტული პროდუქცია, ანუ ისეთი ხილი და ციტრუსი, ევრობაზარზე რომ ვერ გავა გასაყიდად, მაგრამ თავისი ხარისხობრივ-ეკოლოგიური და საგემოვნო თვისებებით საუკეთესოა პროდუქციის გამოსაშვებად. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხი არ იზარალებს არც ციტრუსს და არც ხილს.

**– რა პროდუქციის გამოშვებაა შესაძლებელი თქვენს საწარმოში?**

– ჩვენ უკვე დავამზადეთ ათიათასობით ქილა ჯემი, მურაბა და წვენები. ასევე შეგვიძლია, გამოვუშვათ და დავაფასოოთ რძე და რძის ნაწარმი, ნაყინი. წელს ფერმერებისგან მივიღეთ დიდი რაოდენობით მანდარინი, კივი, ფეიჰოა და მათგან დავამზადეთ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ყოველგვარი მინარავებისა და კონსერვანტების გარეშე.

მე და ჩემს ახლობლებს, რაც თანხები გაგვაჩნდა, ყველა ქარხნის მოწყობასა და პროდუქციის გამოშვებაში ჩავდეთ. ასე რომ, საწარმო კი ავამოქმედეთ, ნაწარმიც გამოვუშვით, მაგრამ საბრუნავი თანხების გარეშე დავრჩით. ჩვენ ყოველდღიურად შეგვიძლია, მივიღოთ მოსახლეობისაგან 7 ტონა ხილი და ციტრუსი და გადავამუშაოთ იგი. ჩვენი საწარმოს დღიური წარმადობა 15 500 ქილა ეკოლოგიურად სუფთა, გემრიელი და სასარგებლო ხილის კონსერვებია.

სამწუხაროდ, გასაოგნებელი რეალობის წინაშე აღმოვჩნდით. **ქაღალდზე დაწერილი უდღეური და სიცოცხლისუუნარო გამოდგა ხელისუფლების გაპიარებული პროგრამები „აწარმოე საქართველოში“ და „აგროსესხები გადასამუშავებელი მრეწველობისათვის“. ჩვენ მოტყუებული დავრჩით.** რომ მცოდნოდა, ყველაფერი ეს სიყალბე იყო, მე ამ საქმეს ხელს არ მოვკიდებდი და არც ამდენ დანახარჯს გავწევდი.

ნებისმიერმა საშუალო დონის ეკონომისტმა და ბიზნესმენმა იცის, რომ საწარმოს ამოქმედების შემდგომ ერთი წლის მანძილზე, სანამ ყველა პარამეტრი დაგეგმილ ნიშნულზე არ გავა, გაზრდილი ხარჯები აქვს და იგი მოგებას არ მოიტანს. აი, ერთი წლის შემდგომ, კარგი მენეჯმენტისა და მართვის ვითარებაში, მოგება წამოვა. ჩვენს მაგალითზე კი რა მოხდა, უზარმაზარი თანხა ჩავდეთ საწარმოში, როცა დამატებითი ხარჯების დაფარვა დაგვჭირდა, ყველგან ყრუ კედელს წავაწყდით – არც ერთმა ბანკმა კრედიტი არ მოგვცა. იძლებული გავხდით, საწარმო გაგვეჩერებინა. უმუშევრად დარჩა 72 ადამიანი. ეს მარტო 72 კაცი არაა. ესაა 72 ოჯახი, მათი ნათესავ-მეგობრები და მეზობლები, რომლებიც უსახსროდ დარჩნენ. ეს ათასობით ადამიანია, რომლებიც, სამუშაო და თავის შენახვის სახსარი რომ გაუჩნდათ, ბიძინა ივანიშვილისა და „ოცნების“ მადლიერი მხარდამჭერები იყვნენ. ახლა კი ეს ხალხი უკმაყოფილოა. მათი უკმაყოფილების მიზეზი ხელისუფლების არასწორი ქმედებაა, რასაც თავად ჩვენ გადავაწყდით და ჩიხში აღმოვჩნდით.

მე ახლა სამ მილიონ დოლარამდე ღირებულის ქონება მაქვს, რომელიც შეიძლება, დაიტვირთოს იპოთეკით და ამ გზით მივიღოთ სესხი. პარადოქსია, რომ საქართველოს არც ერთი ბანკი სესხს არ გვაძლევს, რათა აუცილებელი ხარჯები გავისტუმროთ, რაც საწარმოს საქმიანობის გაგრძელების საშუალებას არ გვაძლევს. ის, რასაც დღეს ქართული ბანკები აკეთებენ, ეწინააღმდეგება მსოფლიო საბანკო სისტემის პრინციპებს და გონივრულ ლოგიკას. იცით, რას შვრებიან? როცა სასესხო განაცხადს წარადგენ, ბანკები იწყებენ შენი გარემოცვის – ნათესავების, მეზობლების, მეგობრების, სანაცნობო წრის შესწავლას. იწყებენ მათზე სხვადასხვა ინფორმაციისა და ცნობების შეგროვებას, **თუ აღმოაჩინეს, რომ ან სესხის მიღების მსურველი, ან მისი ახლობელი „ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის მომხრე და მხარდამჭერია, მას სესხის მიღების არავითარი გარანტია არა აქვს**.

იქნებ ვცდები, მაგრამ მიმაჩნია, რომ კომერციული ბანკების მხრიდან ადგილი აქვს უკანონო მონოპოლიურ საქმიანობას.

**– ბატონო ლევან, უნდა დავაზუსტო, როგორ? ბანკები ბლოკავენ მმართველი პარტიის და „ოცნების“ მომხრეებისათვის სესხების გაცემას?**

– დიახ, ეს ასეა. ასე თუ არაა, აბა მითხარით, რა ხდება? მე თვეში ხელფასი მაქვს 6 ათასი ლარი, ჩემი ქონება შეფასებულია 3 მილიონ დოლარზე მეტად, ქარხანა დღეში იძლევა 30 ათას დოლარზე მეტი ღირებულების საქონელს და ამ დროს საქართველოში არსებულმა არც ერთმა კომერციულმა ბანკმა სესხი არ მომცა! ბანკებს ერთხელ კი არა, ორ-ორჯერ მივმართე თხოვნით. არ მომცეს არც კომერციული, არც აგრო, არც იპოთეკური და არც სამომხმარებლო სესხი. ახლა ამიხსენით, რა შეიძლება ამას დავარქვათ? უარესს გეტყვით, თავად ბიძინა ივანიშვილის ბანკი „ქართუ ბანკი“ 125 დღე აგროვებდა ჩვენზე ინფორმაციას, წერილობითი პასუხიც კი არ მოგვცეს, ისე გვითხრეს უარი. შედეგად ის მივიღეთ, რომ ჩვენსა და ბანკს შორის კონფლიქტი მოხდა. ესე იგი, ეს ბანკი 4 თვე მახსრად გვიგდებდა. ჩვენს დეიდებზე, მამიდებზე, ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე და სხვა ახლობლებზე ინფორმაციებს აგროვებდა, მაგრამ სესხის გასაცემად არაფერი გაუკეთებია. აქ მარტო ჩემზე და ჩემს საწარმოზე არაა ლაპარაკი, პრობლემა გლობალურია. საქმე გვაქვს ბიზნესის დაბლოკვასთან, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებასთან. ამას კი არც მთავრობა აქცევს ყურადღებას, არც პროკურატურა თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო და არც სხვა ვინმე. ამის მიზეზების სათავე წინა ხელისუფლების საქმიანობაში უნდა ვეძებოთ.

**– „ოცნების“ ზოგი ლიდერის მსგავსად, თქვენც ყველა ცოდვას სააკაშვილს და ნაცმოძრაობას აკისრებთ.**

– მე ფაქტებით გელაპარაკებით და არა აფექტით. სხვაგვარად როგორ უნდა ვიფიქრო? როცა სააკაშვილი პრეზიდენტობიდან მიდიოდა, რამდენიმე დღით ადრე საქართველოს ეროვნულ ბანკს გამოაცემინა სამართლებრივი აქტები, რომლებითაც აიკრძალა იმ იურიდიულ და კომერციულ პირებზე სესხების გაცემა, რომლებსაც საქმიანობის დაწყებიდან 11 თვის განმავლობაში დადებითი ბალანსი, ანუ მოგება არა აქვთ. წარმოიდგინეთ, ორგანიზაცია, ან საწარმო, რომელიც იქმნება, თუ ფული არ მიეცი, როგორ განვითარდება? უარესიც, ამ პოლიტიკას მხარს უჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდი და „მეგობარი“ ამერიკაც და ევროპაც. ესე იგი, რამდენიმე მონსტრის წყალობით საქართველოში ფერხდება მრეწველობის განვითარება და ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.

**– ბატონო ლევან, თქვენი საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენ ზარალდებით იმის გამო, რომ „ოცნებისა“ და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ხართ და სააკაშვილის რეჟიმს ებრძვით.**

– დიახ, სწორედ ასეა, მე ასე ვთვლი. ამის თქმის მყარი საფუძველი მაქვს. მე გახლავართ პოლიტიკური პარტიის „დემოკრატიული სამართლის“ თავმჯდომარე. 2012 წლის იანვარში და შემდგომ ივნისში პარტიამ გაიარა რეგისტრაცია. აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში წარვადგინეთ 40 კანდიდატი. ჩვენ, ფაქტობრივად, გარანტირებული გვქონდა სულ ცოტა 5 ადგილი უმაღლეს საბჭოში, მაგრამ გავითვალისწინეთ ის, რომ ამით შეიძლებოდა „ოცნების“ კოალიცია დაზარალებულიყო – გახლეჩილიყო და ამით ესარგებლა სააკაშვილის „ნაცმოძრაობას“. ეს რომ არ მომხდარიყო, მოვხსენით არჩევნებიდან ჩვენი კანდიდატები „ოცნების“ სასარგებლოდ. მე ვარ „ნაცმოძრაობის“ მტერი, ამას არ ვმალავ, რადგან მათ გაანადგურეს ქართული გენოფონდი, უდიდესი ზიანი მოუტანეს ქვეყანას და პირადად მე. მე ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი ვარ. სწორედ ამის გამო მებრძვიან ბათუმში. ასეთი ქარხანა შევქმენი დამოუკიდებლად და დღემდე არავინ არც კი მოსულა, არც უნახავთ, არც უკითხავთ რა მიჭირს, რა მილხინს, რას ვთავაზობ ქვეყანასა და სახელმწიფოს.

**– ხელშეწყობაზე, ალბათ, ლაპარაკიც არაა.**

– რა ხელშეწყობა, რის ხელშეწყობა, პირიქით. შარშან, დეკემბერში, ხუთი დღის გახსნილი იყო ქარხანა, შემოგვივარდა საგადასახადო სამსახური და წარმოებული პროდუქტის გაყიდვა აგვიკრძალა, რის გამოც საახალწლოდ ბაზარზე ვერ გავიტანეთ წარმოებული 163000 ლარის პროდუქტი და სერიოზულად დავზარალდით. მიზეზი იცით, რა იყო? იმ დროს შემოვიტანეთ მინის ქილები პროდუქციის დასაფასოებლად. დღგ-ს ვადა 5 დღეა, ოფიციალურად ვითხოვეთ, რომ მოეცათ ერთი თვე და ამ ხანში მოვიძიებდით დღგ-ს გადასახდელ თანხას, ან ჩვენი პროდუქციის გასაღებიდან შემოსული ფულით დავფარავდით დღგ-ს დავალიანებას. ნაცვლად ხელის შეწყობისა, დაგვიყადაღეს საწარმო, დაგვადეს ინკასო და აგვიკრძალეს მზა პროდუქციის გატანა და რეალიზაცია. ესე იგი, წინასაახალწლოდ ბაზარზე არ შეგვიშვეს და პროდუქციის რეალიზაციის საშუალება არ მოგვცეს. ნაწარმის გაყიდვის საშუალება რომ გვქონოდა, დარწმუნებული ვარ, 100 ათასი დოლარის ნაწარმს გავასაღებდით და საგადასახადო პრობლემებსაც მოვაგვარებდით, საბრუნავი თანხაც გვექნებოდა.

**– ახლა, რამდენი მზა პროდუქცია გაქვთ საწყობში?**

– დაახლოებით 195 ათასი ლარის სხვადასხვა დასახელების ჯემები გვიწყვია საწყობში, მაგრამ იმის გამო, რომ ვერ შევძელით გადაგვეხადა ეტიკეტების, მუყაოს ყუთებისა და სხვათა ხარჯები, გაჩერებული ვართ, საქონელი ვერ გაგვაქვს ბაზარზე. ვერ ვიხდით გაზის, დენის, წყლის გადასახადებს და იძულებული ვარ, სამუშაოდან გავათავისუფლო 72 თანამშრომელი. ქარხანა კი გავიტანო რუსეთში, სოჭში, ან სადმე საქართველოსთან ახლო რეგიონში და მეც წავიდე უცხოეთში.

**– ბატონო ლევან, თითქმის 40 წელია, გიცნობთ. არა ხართ თქვენ ის კაცი, სამშობლო მიატოვოთ და სხვაგან გადაიხვეწოთ. ასე რომ ყოფილიყო, თქვენ კარგა ხანს ცხოვრობდით გერმანიაში და, რამდენადაც ვიცი, არცთუ ცუდადაც, მაგრამ მშობლიური ღელე-ღურდანის სიყვარულმა, სამშობლოს ნოსტალგიამ დაგძლიათ და დაბრუნდით. რაც ახლა თქვით, მგონი, ეს ცხელ გულზეა ნათქვამი.**

– სხვა გზას არ გვიტოვებენ ბიზნესმენებს გაქსუებული ჩინოვნიკები. დავრწმუნდი, რომ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის გარემოცვა არაა ისეთი, ქვეყანას რომ სჭირდება. გარემოცვა პრემიერ-მინისტრს ბევრ რამეს უმალავს. მას, ფაქტობრივად, პრემიერი ინფორმაციულ ვაკუუმში ჰყავს მოქცეული. მოსახლეობა განაწყენებულია. მოსალოდნელია, მაისში ლარის გაცვლითი კურსი ბევრად გაუარესდეს. შექმნილია მოჯადოებული წრე, ბანკები შეთქმულები არიან და მოსახლეობას ყოველმხრივ უზღუდავენ სესხების მიღებას. სწორედ ამან მიიყვანა ქვეყანა კრიზისამდე. ბანკების თავგასულობა კლიენტებთან მიმართებაში აღმაშფოთებელია. პასუხების მოცემასაც არ კადრულობენ. ბანკები ისეთ ცნობებს აგროვებენ მსესხებლის ირგვლივ, როგორსაც არ აგროვებდა არც „ესესი“, არც „ენკავედე“ და არც „კაგებე“. ქვეყანაში შექმნილია მოჯადოებული წრე, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, არ განვითარდეს ბიზნესი, გაუფასურდეს ქართული ვალუტა. რასაც აქ გიყვებით, ეს ფაქტები შვიდჯერ აღვწერე წერილებში და გავუგზავნე ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს. ერთსა და იმავე გაურკვეველ და უაზრო პასუხებს კი სხვადასხვა სამინისტროების განყოფილებები იძლევიან. არც ერთხელ არ მისვლია ჩვენი წერილი ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს.

**მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ბატონ პრემიერ-მინისტრს. ბატონებო! გთხოვთ, მიიღოთ გადამჭრელი ზომები ბიზნესის დასახმარებლად. ნუ დაინდობთ იმ ვაიბანკირებს, რომლებიც თქვენს წინააღმდეგ მოქმედებენ და ამ გზით ებრძვიან ქართულ სახელმწიფოებრიობას.**

**– ბატონო ლევან, ბუნებრივია, ამ მკვეთრი განცხადებების შემდეგ, მკითხველს გაუჩნდება სურვილი, უფრო ახლოს გაგიცნოთ. მცირე რამ თქვენი ბიოგრაფიიდან.**

– მე ერთი ჩვეულებრივი ქართველი ვარ. დავიბადე აჭარაში, აქვე ვსწავლობდი სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში. ახალგაზრდობაში მიზიდავდა ჟურნალისტიკა და ვმუშაობდი ჟურნალისტად. მერე ვიყავი ბიზნესში, ვმსახურობდი სახელმწიფო სტრუქტურებში. ვიყავი „აჭარკოოპკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარე. 1995-99 წლებში გახლდით საქართველოს პარლამენტის წევრი. კონფლიქტი მქონდა ჯერ ასლან აბაშიძის, შემდგომ კი სააკაშვილის ხელისუფლებასთან. იძულებული ვიყავი, წავსულიყავი ემიგრაციაში, სადაც 14 წელი გავატარე.

2004 წელს ივლისში ჩვენი პარტია მონაწილეობდა აჭარის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში. ავიღეთ 23 პროცენტი, მაგრამ გაგვიყალბეს და ჩამოგვიყვანეს 6,99 პროცენტზე. ჩემს წინააღმდეგ აღძრეს სისხლის სამართლის საქმე. რა არ დამაბრალეს, ლამის ნიკოლოზ II მკვლელობაც კი! იმ ხელისუფლებამ ყველაფერი იკადრა, რომ გავენადგურებინე. თავს ვუშველე და საზღვარგარეთ წავედი. რამდენიმე წელი ინტერპოლი მეძებდა. ამ გზით მომაშორა საქართველოს ნაციონალურმა მოძრაობამ. თავის დროზე ასლან აბაშიძე მდევნიდა, შემდგომ – ნაცები. მადლობა ღმერთს, მოვიდა ბიძინა ივანიშვილი და გავმართლდი.

**– ჩამორთმეული ქონების შესახებ. თქვენ სააკაშვილის ხელისუფლებამ „განგაკულაკათ“. თუ დაგიბრუნდათ წართმელი?**

– წართმეული ქონების 90 პროცენტი არ დამბრუნებია. ის, რაც სააკაშვილმა წამართვა, ახლა ამ ხელისუფლებას რომ მოვთხოვო, დამიბრუნე-მეთქი, არ ვიქნები მართალი. ამ ხელისუფლებას მე რომ არ დავემატო, თავისი პრობლემებიც ეყოფა. **არ მინდა, ბატონო, რაც წამართვეს, ახლა მისი დაბრუნება ახალ თავსატეხს გაუჩენს ამ ხელისუფლებას და ქვეყანას. მე ვითხოვ ბიზნესის ხელშეწყობას და სულ მალე იქით დავეხმარები ქვეყანასა და ხალხს.** მე ვიცი, როგორ ვაკეთო ბიზნესი, როგორ შევქმნა დოვლათი, როგორ დავასაქმო ხალხი და ვმართო წარმოება. ნუ შემიშლიან ხელს ჩინოვნიკები და დაისაჯონ ისინი, ვინც სააკაშვილის რეჟიმს ხალხის, ბიზნესმენების დატერორებასა და გაყვლეფაში ეხმარებოდა.

**ამირან კილურაძე,**
**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ აჭარა-გურიის საკორესპონდენტო ბიუროს ხელმძღვანელი**

**რედაქციისგან:** თუ ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებით რომელიმე დაინტერესებულ სახელმწიფო, ან კომერციულ სტრუქტურას პოზიციის გამოხატვის სურვილი გაუჩნდება, რედაქცია მზადაა, საგაზეთო ფართი დაუთმოს.

◉ გადამაგინება

# პოლიტიკური სარბიელი ავანტიურისტებისა და უმეცრებისგან უნდა გასუფთავდეს!

## კერძო თუ სახელმწიფო საკუთრება?

**ქართველი ხალხის პასიურობის შედეგად გარკვეულმა ძალებმა იაქტიურეს და შედეგად მომაკვდავ იმპერიას გაავებულ ხახაში ჩავუვარდით. ცხადია, მისაღები მივიღეთ და დღემდე ღობე-ყორეს ვედებით და აქამდე იმ გზისთვის ვერ მიგვიგნია, რაც კრიზისიდან გამოგვიყვანს.**

ქვეყანას ურაპატრიოტებისა და ავანტიურისტების ახალი თაობა მოევლინა. გვეგონა, თაღლითი და თავხედი სააკაშვილი თავიდან მოვიცილეთ, მაგრამ საზღვარგარეთის გარკვეული პოლიტიკური წრეების მხარდაჭერით, ერის ეს გამყიდველები სარევანშოდ ემზადებიან. საინტერესოა, იმ ადამიანების ჭკუა როგორ არის მოწყობილი, რომლებიც სააკაშვილს მხარს უჭერენ.

პირადად მე, კარგად ვაცნობიერებ, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უშუალოდ მხარს უჭერენ ეგრეთ წოდებულ ნაციონალებს, მაგრამ ყოველივე ამას დიპლომატიური მოსაზრებებებით არ ვამბობთ. მით უმეტეს, ხელისუფლება იგივე მოსაზრებით ვერ ასახელებს დასავლეთ სახელმწიფოების გეგმას, რომლებსაც ჩაეფუშათ, ასე ვთქვათ, საქართველოში განსახორციელებელი პროექტი, რაც სააკაშვილისა და მისი გუნდის ყურმოჭრილ მარიონეტებად ჩამოყალიბებას ისახავდა. ასე რომ, ძალიან ფხიზლად უნდა ვიდგეთ, რათა შინაური და გარეშე არაკეთილმოსურნეთა ზრახვები სრულიად ამოვიცნოთ და ერის მტრებს სათანადო მივუზღათ.

ნატოს გაფართოებას, რასაკვირველია, წერტილი დაესვა. ამის დასამტკიცებლად ცალკე სტატიის დაწერაა საჭირო, მაგრამ საქართველო მოწადინებული უნდა იყოს მჭიდრო ურთიერთობა დაამყაროს დასავლეთის სახელმწიფოებთან, ასევე საჭიროა ნორმალური ურთიერთობის დამყარება რუსეთთან. ვინც ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგია, საქართველოს შეგნებული მტერია ან, როგორც ხალხში იტყვიან, მას მეორე სართულზე ყველაფერი რიგზე არ აქვს.

**ამას წინათ ტელევიზიით გამოვიდა ქალბატონი ელენე ხოშტარია და მაყურებელს მნიშვნელოვანი რომ ვერაფერი შესთავაზა, დაახლოებით ასე განაცხადა: ჩვენი საერთაშორისო მისია უნდა იყოს რუსების მუდამ დაძაბულობაში ყოფნა და მისი გაღიზიანება. როგორი კომენტარი უნდა გაუკეთდეს ამ სისულელეს, ძნელი წარმოსადგენია. „მისალოცია“, რომ ალასანიას, მანდილოსნის სახით, ახალი თანამოაზრე გამოუჩნდა. ალასანია კი სრული სერიოზულობით აცხადებს: რუსებთან ურთიერთობის დროს ერთი ადგილი არ უნდა გვიკანკალებდეს, ომახიანად და მტკიცედ უნდა ვუთხრათ ჩვენი სათქმელი, თუ შეგვამჩნიეს მერყეობა, თავზე დაგვაჯდებიან.**

ყველა სახელმწიფოს ხელისუფლების წარმომადგენელი ლაპარაკობს იმ ტონზე, იქცევა ისე, როგორც მას თავისი სახელმწიფოს ძლიერება აძლევს ამის საშუალებას. აქ ყოჩი ბიჭების ქუჩური გარჩევის მეთოდი არ გამოდგება, ვინც მაგრად ყვირის და თამამად იქცევა, მას რჩება საბოლოო გამარჯვება. რასაკვირველია, შენი სახელმწიფოს ინტერესები ომახიანად უნდა დაიცვა, მაგრამ გააჩნია რა კონტექსტში იტყვი ამას.

იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ალასანიას სკოლაში არ უვლია, მაგრამ აშკარად ჩანს მისმა გონებამ ყველაფერი აისხლიტა და მისი თვალსაწიერი შემოიფარგლა ქუჩური გარჩევების მეთოდებით.

ამჟამად ბევრისთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოსადმი მტრულად განწყობილი გარეშე ძალები გვირჩევენ: უკრაინაში საქართველომ გაგზავნოს სამხედრო შენაერთები. ამით იგი შეიძენს საერთაშორისო ფუნქციას და მაგალითად მოჰყავთ ისრაელი. იგი პატარა სახელმწიფოა, მაგრამ აშშ-ს პოლიტიკის გამტარებელია ახლო აღმოსავლეთში, ომსაც არ ერიდება და მაგალითად მოჰყავთ ომი ეგვიპტესთან. მე მათ ვეტყოდი: ეს დარიგება თავისიანებისთვის შეინახონ. ჯერ ერთი, არც საქართველოა ისრაელივით ძლიერი და არც ეგვიპტეა რუსეთი.

**კარგად დავუფიქრდეთ ზემოთ აღნიშნული გარეშე ძალების მზაკვრულ რჩევას და ვაიპოლიტიკოსების — ალასანიას და ხოშტარიას მოსაზრებას. მათ შორის სრული იდეური თანხვდენაა. ასეთ ადამიანებს ვუთმობთ პრესის ფურცლებს, სატელევიზიო გადაცემებს. ხალხნო, ცოტა ჭკუით ხომ უნდა მოვიქცეთ, — უმეცრებს მიუღებელი მოსაზრების გაჟღერების საშუალებას ნუ მივცემთ!**

ალასანია უნებლიეთ მაგონებს გურულ სიტყვას „გადამაგინებას“. ვაზი ცოტა სიბერისკენ რომ წავა, მისი ძირიდან იწყებენ მცირე სიღრმის რამდენიმე მეტრი არხის გათხრას და ამ ხანდაზმულ ვაზს მასში გადააწვენენ, მიწას მოაყრიან, დატკეპნიან და ერთ წელიწადში იქიდან ამოიყრის სრულიად ახალგაზრდა ვენახი. ეს მეთოდი ყველა მევენახისთვის ცნობილია, ხოლო გურულად მას გადამაგინება ეწოდება.

ასე რომ, ალასანია, ხოშტარია, პეტრიაშვილი, აბაშიძე და მასთან მიმხრობილი ინდივიდები სააკაშვილის გადამაგინების შედეგად მიღებული პროდუქციაა.

სრული ჭეშმარიტებაა — ყოყმანის პოლიტიკა დამღუპველია, როგორც ინდივიდისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. ამიტომ ნუ ვიყოყმანებთ, მოსაშორებელი დროულად უნდა მოვიშოროთ. მოსაშორებელში, რასაკვირველია, ვგულისხმობთ სააკაშვილს და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი გადამაგინების შედეგად მიღებულ ინდივიდებს.

ქართველმა ხალხმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვა — საბჭოთა კავშირის დაშლას გადააყოლა სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონია. არადა, ახლად აღმოცენებული პატარა სახელმწიფოსათვის სწორედ ზედგამოჭრილია სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონია.

რეგულარულად ვუსმენ საზღვარგარეთის რადიოგადაცემებს. ყველა ცნობილი თეორეტიკოსი ამტკიცებს, რომ კაცობრიობა სულ მალე სახელმწიფო საკუთრებას მიანიჭებს უპირატესობას. თუ ასე იქნება, ჩვენ ხომ სახელმწიფოს საკუთრებას ვიყავით მიჩვეულნი და მასზე გადასვლა არ უნდა გაგვიჭირდეს. მაგრამ ჩვენში იმდენად ფესვგადგმულია მიმბაძველობის თვისება, რომ სანამ სხვა სახელმწიფოები თვითონ არ გადაიყვანენ ეკონომიკას სახელმწიფო რელსებზე, მანამ ამ მხრივ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ. დრო კი არ ითმენს, საქართველოს კერძო საკუთრების ჰეგემონია კარგ დღეს არ დააყრის.

კარგი მაგალითი გვაქვს — იაპონელებმა მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ეკონომიკის ლიბერალიზაცია მოახდინეს და სულ მოკლე დროში ქვეყანამ კატასტროფა კინაღამ განიცადა. იაპონელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მსწრაფლ მოეგენ გონს და ეკონომიკა თანდათანობით სახელმწიფო რელსებზე გადაიყვანეს. მდგომარეობა მოკლე დროში გამოსწორდა. დღესდღეობით იაპონიის ეკონომიკის 80 პროცენტი სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია.

საქართველოში დღეს ეკონომიკა მთლიანად გამოსულია სახელმწიფოს დაქვემდებარებიდან, ხოლო ფასების რეგულირებას ხელისუფლებას ვთხოვთ. უცნაური ლოგიკაა — თავის დროზე ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი კერძო საკუთრებას, ყველაფერი კერძო მესაკუთრეებს გადასცა, ახლა იმისგან ვითხოვთ შველას, რომელსაც საშველად ბერკეტი აღარ აქვს.

საქართველოში დღეს ეროვნული შემოსავალი და ეროვნული სიმდიდრე ნაკლები არ არის, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს იყო. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ნაკლები ფული არ ტრიალებს, მაგრამ კერძო ბიზნესმენებს არ ძალუძთ ეს სიმდიდრე თითოეულ მოსახლეზე შედარებით თანაბრად გადაანაწილონ. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი ცენტრისკენ (მოსკოვი) მიედინებოდა. ამჟამად ყველაფერი ადგილზე რჩება, გარედანაც გვეხმარებიან, მაგრამ სიღატაკე არ აღმოიფხვრა. არც ამოიფხვრება, სანამ კერძო საკუთრების ჰეგემონია იქნება.

მთელმა ეროვნულმა შემოსავალმა და ეროვნულმა სიმდიდრემ თავი მოიყარა რამდენიმე ასეული ადამიანის ხელში, უმრავლესობა კი სიღატაკეში ცხოვრობს. შედეგად მოხდა დემოგრაფიის კატასტროფულად დაცემა და მიგრაციის არნახული ზრდა.

აშკარაა, თანამდებობის პირების ხელფასი ქვეყნის ეკონომიკური დონის შესაბამისი არ არის — მაღალია. თავს ასე იმართლებენ: თანამდებობის პირებს ხელფასი რომ შევუმციროთ, კერძო სექტორში გადავლენ, სადაც ანაზღაურება გაცილებით დიდია. ესეც კერძო საკუთრების მიუღებლობაზე მეტყველებს.

სრულიად უგულებელყოფილია პრიორიტეტული დარგების პრინციპი. ხშირად მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებს მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე პირველს. მედიცინა ამტკიცებს, რომ პროფესიული სპორტი ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს. სწორედ მასზე უამრავი თანხა იხარჯება. პროფესიული სპორტის ზოგი წარმომადგენლის თვიური ხელფასი ორასი ათას ლარსაც კი აღემატება. ჩვენისთანა ერს ფიზკულტურა და სამოყვარულო სპორტი სჭირდება, რაც გაცილებით ნაკლები სახსარი დაგვიჯდება.

ზოგი შეიძლება შემეკამათოს: სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონიის პირობებშიც რიგ უარყოფით გამოვლინებებს ექნება ადგილი. ამ მოსაზრებას ვეთანხმები, მაგრამ იმ ოდენობას არა, რამდენიც აქვს კერძო საკუთრების ჰეგემონიის პირობებში. ჩვენ კი უნდა ავირჩიოთ ის, რაც ნაკლებად დაგვაზარალებს. ასეთია სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონია. ეს მოსაზრება ამჟამად დომინირებს გამოჩენილი თეორეტიკოსების გამონათქვამებში.

თუ შექმნილი მდგომარეობის სიმძიმეს პირდაპირ თვალებში შევხედავთ, ქართველი ერი ორი ამოცანის წინაშე დგას — სრულიად, ძირფესვიანად ამოძირკვოს სააკაშვილის რეჟიმი და უახლოეს მომავალში თანდათანობით, ეტაპობრივად გადავიდეს სახელმწიფო საკუთრებაზე.

**გოგი ჩალაძე,**

**საქართველოს დამსახურებული მხატვარი**

**ქ.რუსთავი**

◉ ალიან-ჩალიანი



# ლისის ტბის ფერდობზე სტუდენტური საერთო საცხოვრებლის მშენებლობა დაიწყო

**ობიექტი დაათვალიერეს დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი ამაშუკელმა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ილია დარჩიაშვილმა და პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძემ.**

**300-ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის იქნება გათვალისწინებული. დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ პროექტს უაღრესად აქტუალური უწოდა და აღნიშნა, რომ ის პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით ხორციელდება. მისივე ინფორმაციით, თბილისის მერია ჩართული იქნება საერთო საცხოვრებლის ყველა აუცილებელი კომუნიკაციით უზრუნველყოფაში.**

**„ყველა ევროპული ტიპის ქალაქი, სადაც უმაღლეს განათლებას და სწავლას ყურადღება ექცევა, ასეთი ცენტრებით არის უზრუნველყოფილი. ამით თბილისი სულ უფრო მეტად ემსგავსება ევროპული ტიპის ქალაქს“, — განაცადა დავით ნარმანიამ.**

**მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის ილია დარჩიაშვილის ინფორმაციით, პროექტით გათვალისწინებული არის ობიექტის სპორტული მოედნებით მოწყობა, ასევე ბიბლიოთეკითა და კაფეტერიით აღჭურვა.**

**სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი საერთო ღირებულება 5 250 777 ლარს შეადგენს.**

**საცხოვრებელ კორპუსში სასტუმროს ტიპის ბინები იქნება, მათ შორის რამდენიმე ბინა შეზღუდული შესაძლებობის პირებისთვის... მშენებლობის დასრულება მომავალი წლის თებერვალში იგეგმება.**

# თბილისში უმაღლესი კლასის სასტუმრო აშენდება

**ჰაიატის კორპორაციამ და შპს „რუსთაველი ფროფერთიმ“, თბილისში, სასტუმრო „ჰაიატ რიჯენსის“ (Hyatt Regency) მართვის შესახებ ხელშეკრულება დადეს.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ შპს რუსთაველი ფროფერთი/ლოიალ კაპიტალ გრუპიდან და ჰაიატ — ევროპა, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთიდან აცნობეს, სასტუმრო Hyatt Regency Tbilisi-ს დასრულება 2017 წელს არის დაგეგმილი.**

**ჰაიატის ევროპა, აფრიკა და ახლო აღმოსავლეთის უფროსი ვიცე პრეზიდენტის პიტერ ნორმანის განცხადებით, პროექტი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობას თანამედროვე, უმაღლესი კლასის სასტუმროდ გარდაქმნიან.**

**„მოხარულები ვართ, რომ საშუალება მოგვეცა ეს თვალსაჩინო ძეგლი შევმატოთ ჩვენს პორთფელს და კიდევ უფრო გავაფართოვოთ ჰაიატის ქსელი ევროპაში. პროექტი იმითაც არის განსაკუთრებული, რომ შუაგულ თბილისში არსებული, არქიტექტურული ძეგლის სტატუსის მქონე იუსტიციის სამინისტროს ყოფილ შენობას გარდავქმნით თანამედროვე, უმაღლესი კლასის სასტუმროდ. მოუთმენლად ველით საქართველოს დედაქალაქში სასტუმრო „ჰაიატ რიჯენსის“ გახსნას, რომლის მთავარი დანიშნულებაა სტუმრებს დასვენებისათვის სასიამოვნო გარემო, დაუვიწყარი კულინარიული გამოცდილება და უმაღლესი კლასის შეხვედრების დარბაზები შესთავაზოს“, — აღნიშნა პიტერ ნორმანმა.**

**სასტუმრო ჰაიატ რიჯენსი თბილისი, განთავსებული იქნება დედაქალაქის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ადგილას, რუსთაველის გამზირზე. ექნება 170 ნომერი, შეხვედრების რამდენიმე დარბაზი, (საბანკეტო დარბაზის ჩათვლით) ოთხი რესტორანი, სპა და ფიტნეს ცენტრი.**

**მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ჰაიატ რიჯენსის ქსელი 150-ზე მეტ სასტუმროს მოიცავს. მათ შორის, 29 სასტუმრო ევროპის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის და სამხრეთ დასავლეთ აზიის ისეთ ქალაქებშია განთავსებული, როგორიცაა ბერლინი, დელი, დუბაი, ლონდონი და პარიზი.**

**ინტერპრესი**

# პეტრო პოროშენკომ საქართველოს პრეზიდენტის მოწვევაზე თანხმობა განაცხადა



**პრეზიდენტის** მრჩეველი საგარეო ურთიერთობათა საკითხებში თენგიზ ფხალაძე აცხადებს, რომ საქართველოს კურსი არ შეუცვლია და ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მივიწევთ ალიანსისკენ. რაც შეეხება განცხადებებს, რომ ქვეყანა ვერ გახდება ნატოს წევრი, პრეზიდენტის მრჩეველი აცხადებს, რომ, სამწუხაროდ, არაკოორდინირებულობა კვლავაც რჩება სერიოზულ პრობლემად, რაც უკვე უკავშირდება არა ნატოს, არამედ უკავშირდება მართვის სისტემას.

როდის იგეგმება უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში და რატომ არის საჭირო მეტი დაზუსტების შეტანა სპეციალური წარმომადგენლის მანდატში? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge **თენგიზ ფხალაძეს** ესაუბრა.

**— უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ნატალია გალიბარენკოსთან შეხვედრაზე განიხილეთ 2015 წელს მაღალი რანგის ორმხრივი შეხვედრების წინასწარი გეგმა. მაღალი რანგის შეხვედრაში შეიძლება, ვიგულისხმოთ უკრაინის პირველი პირის ვიზიტი საქართველოში?**

— 22 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს დელეგაცია იმყოფებოდა უკრაინაში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ღირსების მარშში. გაიმართა ორმხრივი შეხვედრა პრეზიდენტ პოროშენკოსა და პრეზიდენტ მარგველაშვილს შორის, შემდეგ უკვე — გაფართოებული შემადგენლობით. სწორედ ამ უმაღლესი დონის შეხვედრების შემდეგ ჩავედი უკრაინაში და მქონდა ბევრი შეხვედრა. ასე რომ, უკრაინა ჩვენთვის არის უმნიშვნელოვანესი პარტნიორი.

ჩვენ ბევრი საერთო გვაქვს. არ ვგულისხმობ მხოლოდ ისტორიულ კავშირებს. დღეისათვის ჩვენ გვაქვს ერთიანი მიზნები, საფრთხეები და გამოწვევები. მითუმეტეს იმ ნავში ვართ, რასაც ჰქვია აღმოსავლეთ პარტნიორობა და ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერილი ქვეყნები. ჩვენ, ხელი-ხელჩაკიდებულებმა ერთად უნდა ვიაროთ წინ ჩვენი დასავლური მიმართულებით.

**— როგორც ცნობილია, უკრაინის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია გიორგი მარგველაშვილმა და პოროშენკომ ეს მოწვევა მიიღო, ანუ პოროშენკოს საქართველში ვიზიტი იგეგმება?**

— ნამდვილად, საქართველოს პრეზიდენტმა მოიწვია თბილისში პრეზიდენტი პოროშენკო. მან მიიღო ქართველი კოლეგის მოწვევა და თქვა, რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში. ეს ადამიანი პრაქტიკულად საომარ ველზე იმყოფება. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ეს ვიზიტი არ იქნება დღეს და ხვალ, მაგრამ საქართველოში მოწვევა მიღებულია. პოროშენკომ თქვა, რომ აუცილებლად ჩამოვა საქართველოში, როგორც კი სიტუაცია ოდნავ მაინც დაწყნარდება.

**— შეხვედრისას საუბარი ასევე შეეხო ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით გამოცდილების გაცვლისათვის ეფექტიან თანამშრომლობას. იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები მაღალ თანამდებობებს იკავებენ უკრაინის ხელისუფლებაში, როგორ წარმოგიდგენიათ ამ მიმართულებით თანამშრომლობა უკრაინასთან?**

— საქართველო-უკრაინის ურთიერთობები საუკუნეების განმავლობაში შენდებოდა. ასე რომ, აქ პერსონიფიცირება და რომელიმე პიროვნების გამო ურთიერთობის დაზარალება, ეს იქნება ძალიან სერიოზული ზიანის მომტანი როგორც უკრაინისთვის, ასევე საქართველოსთვის. ჩვენი სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებში ეს არ შედის. ჩვენ ვართ სტრატეგიული პარტნიორები.

**— 18 მარტამდე გადაიდო რუსეთსა და ე.წ სამხრეთ ოსეთს შორის „თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების“ გაფორმება. როგორ ფიქრობთ, რა ფაქტორების გათვალისწინებით მიიღო ასეთი გადაწყვეტილება კრემლმა?**

— სამწუხაროდ, აქ ნამდვილად ვერ ვილაპარაკებთ იმას, რომ მოსკოვში ვინმემ პოლიტიკური ნება შეცვალა, ან ახლებურად დაინახა სიტუაცია. უბრალოდ, ტექნიკური შეფერხება იყო. სამწუხაროდ, ისევ გრძელდება ის პოლიტიკა, რომელსაც რუსეთის ფედერაცია და კრემლი ავითარებს საქართველოსა და მისი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ.

**— დაწყებულია პოლიტიკური დისკუსია იმაზე, რომ რიგის სამიტზე საქართველო, სავარაუდოდ, ვერ მიიღებს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლას...**

— ეს არის პოლიტიკური სპეკულაცია. დაახლოებით იმ ვითარებას მაგონებს, რაც იყო 2008 წელს ბუქარესტის სამიტის წინ. როდესაც რეალურად კონცენტრირებული ვიყავით მაპის თემაზე. მაშინაც მთავარი კითხვა იყო — მივიღებთ თუ არა მაპს. რა არის რიგის სამიტი — ეს არის ის სამიტი, რომელიც პირველად იმართება მას შემდეგ, რაც სამმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას. შესაბამისად, ეს არის შეფასების სამიტი. რიგის სამიტი იმართება იმ რეალობაში, რაც ხდება უკრაინაში და რა ქმედებებს ახორციელებს რუსეთის ფედერაცია, ანუ, იმ ვითარებაში, როდესაც თავად ევროკავშირი ყალიბდება ახალ პოლიტიკასა და ახალ მიდგომებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მიმართ. ასე რომ, იქამდე დიდი დროა. იმედი გვაქვს, რომ მიღებული იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ახალ იმპულსს მისცემს ჩვენს ევროპულ ინტეგრაციას. მოდით, სახელის დარქმევისგან ჯერ თავი შევიკავოთ. არავის უთქვამს, რომ რიგის სამიტი არის რაღაცის ჰედლაინი. ნამდვილად, სამუშაო ბევრია, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ვიზა-ლიბერალიზაციის საკითხზე.

**თამთა ქარჩავა**

## ალიან-ჩალიანი

# სახელმწიფო უწყებებში სტაჟირების მსურველთა რეგისტრაცია დაიწყო

**სახელმწიფო** პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, სტუდენტებს საშუალება ექნებათ, საკუთარი მონაცემები განათავსონ ელექტრონულ ბაზაში, ვებგვერდზე — www.stajireba.gov.ge. განაცხადები 26 მარტის 15:00 საათამდე მიიღება.

საჯარო სამსახურის ბიუროს ხელმძღვანელის ეკატერინე ქარდავას ინფორმაციით, ამ ეტაპზე სტაჟირებისთვის 8746 ვაკანტური ადგილია, ხოლო მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია 13 527 წარჩინებული სტუდენტი და კურსდამთავრებული.

2014 წლის სექტემბერში სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 1351 სტუდენტი და კურსდამთავრებული დარეგისტრირდა, რომელთაგან სხვადასხვა მიზეზთა გამო (პირადი განცხადების საფუძველზე სტაჟირებაზე უარი, სტაჟირების ადგილზე გამოუცხადებლობა, სტაჟირების არასაპატიო გაცდენა და ა.შ.) სტაჟირების სახელმწიფო პროგრამა წარმატებით დაასრულა 908 სტუდენტმა. აღსანიშნავია, რომ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გავლის შემდგომ სტაჟირების ადგილზე — სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში, შრომითი ხელშეკრულებით 49 სტაჟიორი დასაქმდა.

სექტემბრის ნაკადის ფარგლებში ყველაზე პოპულარულ საგანმანათლებლო მიმართულებებს სოციალური მეცნიერებები, სამართალი და ბიზნესადმინისტრირება წარმოადგენდა.

# ექსპერტი ლევან ჩაჩუა სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო

**საქართველოს** ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმეზე ბრალდებული ექსპერტი ლევან ჩაჩუა სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე დავით მგელიაშვილმა გამოაცხადა.



მხარეებს განაჩენთან დაკავშირებით განსხვავებული მოლოდინები ჰქონდათ.

დაცვის მხარე ელოდებოდა, რომ ლევან ჩაჩუას მიმართ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა. როგორც ჩაჩუას ერთ-ერთი ადვოკატი გიორგი ფანცულაია აცხადებდა, საქმეში არ არსებობს არც ერთი მოწმე და არანაირი მტკიცებულება, რომელიც ჩაჩუას რაიმე დანაშაულზე მიუთითებს. ადვოკატი სწორედ აქედან გამომდინარე ვარაუდობდა, რომ გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაცვის მხარე განაჩენს სააპელაციო წესით გაასაჩივრებდა. პროკურორი რევაზ ნადოი კი აცხადებდა, რომ მან ბრალდებულის საბოლოო სიტყვაში რაიმე არსებითი ვერ მოისმინა. მისი შეფასებით, საბოლოო სიტყვა ემოციებზე იყო აგებული. რაც შეეხება განაჩენს, როგორც პროკურორმა აღნიშნა, ბრალდების მხარეს სასამართლოში წარდგენილი აქვს ისეთი მტკიცებულებები, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ლევან ჩაჩუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი დადგეს. ლევან ჩაჩუა პატიმრობიდან გირაოს სანაცვლოდ იყო გათავისუფლებული.

# მედიკამენტებზე ქართულენოვანი ანოტაცია, შესაძლოა, სავალდებულო გახდეს

**თბილისის** საკრებულოს იურიდიული კომისია მუშაობს კანონპროექტზე, რომლითაც წამალზე ანოტაციის ქართულად დატანა სავალდებულო გახდება, — ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თედო კობახიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია აქტიურად მუშაობს წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ კანონპროექტზე. დღეს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს მარეგულირებელ ნორმას, რომელითაც შესაძლებელი იქნება ფარმაცევტულ პროდუქტზე წამლის ანოტაცია მომხმარებლისათვის ქართულად იყოს მიწოდებული.



მისივე თქმით, კანონპროექტის შემუშავების ვალდებულებას ევროკავშირისა და ევროპარლამენტის დირექტივები ითვალისწინებს, რომელთა მიხედვითაც, წამალს უნდა ერთვოდეს ეროვნულ ენაზე წამლის ანოტაცია. კობახიძემ დასძინა, რომ ამ კვირაში კანონპროექტთან დაკავშირებით საკრებულოში მოხდება კომისიებში მსჯელობა, მომავალი კვირის სამშაბათს კი ფარმაცევტულ მწარმოებელ კომპანიებთან, აფთიაქის ქსელების ხელმძღვანელებთან შეაჯერებენ კანონპროექტს, რის შემდეგაც პარლამენტს გადაეგზავნება განსახილველად.

# ივერთუბნის დასახლებაში გარე განათება დამონტაჟდა



**დენდროლოგიური** პარკის მიმდებარედ, ივერთუბნის დასახლებაში გარე განათება დამონტაჟდა. შპს „სინათლის ქალაქის“ მიერ დამონტაჟებული ლამპიონები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ, მერის მოადგილე გიორგი სოლომონიამ, შპს „სინათლის ქალაქის“ დირექტორმა ვასილ ხორავამ და ჩუღურეთის რაიონის გამგებელმა ზურაბ ჩიკვილაძემ დაათვალიერეს.

მერიის ინფორმაციით, დავით ნარმანია ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა და დასახლებაში არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაცია პირადად მათგან მოისმინა.

როგორც მერიაში აცხადებენ, მოსახლეობას ყველაზე მეტად გზისა და საკომუნიკაციო სისტემის არარსებობა აწუხებს, რომლის მოგვარების პირობა მათ თბილისის მერისგან და ჩუღურეთის გამგებლის ზურაბ ჩიკვილაძისგან მიიღეს. თბილისის მერის დავით ნარმანიას თქმით, დასახლებაში წლების განმავლობაში პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა.

„პირველ რიგში, მოწესრიგდა გარე განათება, არის სხვა ტიპის საჭიროებებიც, არ არის ქუჩების სახელდება, მოსაწესრიგებელია გზა და სხვა ინფრასტრუქტურა, რაც ეტაპობრივად გაკეთდება, რათა ამ ადამიანების ყოფითი პირობები უფრო მეტად იყოს უზრუნველყოფილი“, — განაცხადა დავით ნარმანიამ. მისი თქმით, სამუშაოების ნაწილი გამგეობის ბიუჯეტიდან დაფინანსდება, ნაწილს კი დედაქალაქის ბიუჯეტიდან მერიის საქალაქო სამსახურები უზრუნველყოფენ.

# ძმა — ძმისთვისო!

**ბათუმის** რეფერალურ ჰოსპიტალში ქართველმა მედიკოსებმა ღვიძლის გადანერგვის მეორე წარმატებული ოპერაცია ჩაატარეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სამედიცინო კორპორაცია ევექსიდან“ აცნობეს, ოპერაცია 16 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. „დონორი 34 წლის მამაკაცია, რომელმაც ღვიძლის ნაწილი 33 წლის ძმას გადაუნერგა. პაციენტი ციროზით იყო დაავადებული და მისი გადარჩენის ერთადერთი გზა ღვიძლის გადანერგვა იყო“, — ნათქვამია „სამედიცინო კორპორაცია ევექსის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

მათივე ცნობით, ამ დროისათვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა განხორციელებული რთული ოპერაციის შესაბამისია. დონორი უკვე ბინაზეა გაწერილი, ხოლო 33 წლის რეციპიენტი ბათუმის რეფერალურ ჰოსპიტალს რამდენიმე დღეში დატოვებს. მედიკოსების ინფორმაციით, ძმების პოსტოპერაციული მართვა სამედიცინო პროტოკოლებითა და საერთაშორისო გაიდლაინების სრული დაცვით მიმდინარეობს.

ღვიძლის უკმარისობით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში საკმაოდ მაღალია და ყოველწლიურად მსგავსი ტიპის ოპერაცია 40-50 ადამიანს ესაჭიროება. ღვიძლის ტრანსპლანტაცია მსოფლიოს 10 ყველაზე რთული ოპერაციის ჩამონათვალში შედის და ეს სერვისი საქართველოში „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ 2014 წლის დეკემბრიდან დანერგა.

# რუსეთი სრულ სამხედრო მზადყოფნაშია

**რუსეთის** პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ქვეყნის ჩრდილოეთ ფლოტსა და დასავლეთის სამხედრო ოლქის ნაწილში სრული სამხედრო მზადყოფნის ბრძანება გასცა.

„ბიბისის“ ცნობით, ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი შოიგუმ განაცხადა. მისი თქმით, ღონისძიების მიზანს სამხედრო ძალების მზადყოფნის შემოწმება წარმოადგენს.

როგორც სერგეი შოიგუმ განაცხადა, მობილიზაციაში მონაწილეობას 38 000 ჯარისკაცი, 3 360 სამხედრო ტექნიკა, 41 საზღვაო ხომალდი, 15 წყალქვეშა ნავი და 110 სამხედრო თვითმფრინავი და ვერტმფრენი მიიღებს. გასულ კვირას კი რუსეთის სამხრეთის ოლქში ჩატარდა წვრთნები, რომლის ფარგლებშიც სამხედრო სწავლება აფხაზეთის, ე.წ.სამხრეთ ოსეთისა და ყირიმის ტერიტორიებზეც გაიმართა. დასავლეთი რუსეთის სამხედრო აქტიურობის გამო შეშფოთებას გამოთქვამს.

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# აშშ გამოვიდა მიხეილ სააკაშვილის თანამებრძოლთა დასაცავად

## ისინი საქართველოს ხელისუფლებას შერჩევით სამართალდაცვაში სდებენ ბრალს



**ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ საქართველოში გამოხატა „შეშფოთება“ იმის გამო, რომ ქვეყნის ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის, აგრეთვე მისი ადმინისტრაციის ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკების მისამართით, რომლებიც ან უკვე არიან ციხეში, ან მათ დაეძებენ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაჭარბების ბრალდებით, წამოაყენეს ახალი ბრალდებები — რამდენიმე დღით ადრე მათი წინასწარი პატიმრობის ვადის გასვლამდე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამაში „სამართალდაცვის პოლიტიკური მოტივირების“ ნიშნები დაინახა.**

ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური წარმომადგენლობის განცხადება, რომელიც უპრეცედენტოდ მკაცრია დიპლომატიურ გამოხატულებებში, გაჩნდა ამერიკის საელჩოს გვერდზე შაბათ საღამოს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ პროკურატურამ წაუყენა ახალი, „დააზუსტა“ ანდა გაამკაცრა ძველი ბრალდებები საქართველოს ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის, თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას, იუსტიციის ექსმინისტრ და გენერალურ პროკურორ ზურაბ ადეიშვილის, აგრეთვე თავდაცვის ყოფილი მინისტრისა და შინაგან საქმეთა მინისტრის დავით კეზერაშვილისა და ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ. ყველა მათგანი გადის საქმეზე 2007 წლის 7 ნოემბერს რუსთაველის პროსპექტზე ოპოზიციონერთა მიტინგის მკაცრი დაშლის და ტელეარხ „იმედის“ დარბევის შესახებ. თუ ადრე მათ წინააღმდეგ წამოყენებული იქნა ბრალდებები როგორც მაღალი რანგის თანამდებობებზე მყოფი პირების სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გადაჭარბების შესახებ, ახლა ბრალდებას დაემატა ახალი მუხლები — „უფლებამოსილებათა გადაჭარბება ძალადობის გამოყენებით და მსხვერპლთა დამცირება“. გიგი უგულავას ადვოკატებმა უმალვე განაცხადეს, რომ პროკურატურამ მათი დაცვის ქვეშ მყოფებს წაუყენა ახალი პუნქტები, რათა არ დაეშვათ მათი ციხიდან გამოსვლა: აპრილის ბოლოს გადის წინასწარი პატიმრობის ცხრათვიანი ვადა, რაც კონსტიტუციითაა გათვალისწინებული.

ასეთსავე დასკვნამდე მივიდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოც. **„ახალი ბრალდებების წაყენება, განსაკუთრებით თბილისის ყოფილი მერის გიგი უგულავას წინააღმდეგ, ჰგავს მცდელობას, გვერდი აუარონ ცხრათვიან წინასწარ პატიმრობას“,** — ნათქვამია საელჩოს განცხადებაში. დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ მოუწოდა საქართველოს მთავრობას **„ნუ შექმნიან იმის ცნებას, რომ იგი მონაწილეობს სამართალდაცვის პოლიტიკურად მოტივირებულ კამპანიაში“**.

Коммерсант

# საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ბრალს სდებს სერგეი ლავროვს „ცალმხრივ ინტერპრეტაციაში“

**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადება, რომელიც მან გააკეთა მოსკოვში სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვიაჩესლავ ჩიკირბასთან ერთობლივი პრესკონფერენციის დროს.**

თანაც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს ბრალი დასდო რუსეთისა და საქართველოს საქონელბრუნვის მონიტორინგის შესახებ შეთანხმების „ცალმხრივ ინტერპრეტაციაში“. შეთანხმება ქვეყნებს შორის 2011 წლის 9 ნოემბერს მოხდა.

კერძოდ, ლავროვმა განაცხადა, რომ ეს შეთანხმება ზიანს არ აყენებს აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სტატუსს, როგორც ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებისა.

### ლავროვის სიტყვები დაადასტურა ჩიკირბამაც

**„მართლაც, რუსეთ-საქართველოს შეთანხმება, აფხაზეთის თანხმობას პირდაპირ არ ეხება. და აფხაზეთის ტერიტორიაზე არანაირი მეთვალყურეები არ იქნებიან. დარწმუნებული ვარ, რომ არანაირი ნეგატიური გავლენა საქონელბრუნვაზე რუსეთსა და აფხაზეთს შორის არ იქნება. ჩვენ რუს კოლეგებთან გვაქვს მუდმივი კონსულტაციები, და აქ აფხაზეთის უფლებათა არანაირი შელახვა არ იქნება, ამაში დარწმუნებული ვარ“,** — განაცხადა აფხაზეთის სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენელმა.

ამ განცხადებებმა გამოიწვია პროტესტი თბილისის მხრიდან, რომელმაც „ბატონი ლავროვის განმარტებებს“ უწოდა ცრუ და აღნიშნა, რომ იგი ეწინააღმდეგება შეთანხმებას, რისი გაფორმებაც აუცილებელი იყო რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლისთვის. ეს შეთანხმება მიღწეული იქნა რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, რუსეთმა საქართველოს ორი რეგიონის — აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა და თავის სამხედრო ბაზებზე ამ ტერიტორიებზე გადაისროლა დამატებითი ჯარები და შეიარაღება.

### წინაისტორია

**რუსეთი მოლაპარაკებას ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შესვლის შესახებ 18 წლის განმავლობაში აწარმოებდა. საქართველო, როგორც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფო, სარგებლობდა ვეტოს უფლებით და შეეძლო, დაებლოკა რუსეთის შესვლა ამ ორგანიზაციაში. მოლაპარაკების შემდეგ, რომელიც დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, თბილისმა და მოსკოვმა შეძლეს, შეთანხმებულიყვნენ და შვეიცარიის შუამავლობით ხელი მოეწერათ შესაბამისი შეთანხმებისთვის საზღვრების გამჭვირვალობის შესახებ, რაც აუცილებელი იყო რუსეთის ფედერაციის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციასთან მიერთებისთვის.**

როგორც საქართველოს მხარე ამტკიცებდა, პრობლემა იყო ის, რომ რუსეთი მოითხოვდა „მონიტორინგის განსხვავებულ რეჟიმს“ ოკუპირებულ და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე, რაზეც თბილისი თანხმობას არ იძლეოდა და მოითხოვდა მონიტორინგის ერთიან სისტემას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

შეთანხმება ქვეყნებს შორის საქონელბრუნვის მონიტორინგის შესახებ კვლავ დავის საგანი გახდა




საქართველო რუსეთისგან მოითხოვდა, მიეცა თანხმობა საერთაშორისო მეთვალყურეების განთავსებაზე საბაჟო საზღვართან მდინარე ფსოუზე და რიკოთის გვირაბთან, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდებოდა კონტროლის განხორციელება საქონლის გადაადგილებაზე საზღვრის მიღმა.

ამავე დროს, რუსეთმა უარყო საერთაშორისო მეთვალყურეების განთავსების იდეა საქართველო-რუსეთის საზღვარზე და სანაცვლოდ სთავაზობდა, მიეწოდებინა ინფორმაცია ტვირთების გადაადგილების შესახებ ამ საზღვარზე „ელექტრონული სახით“. ამაზე თბილისი არ თანხმდებოდა. მოლაპარაკებათა მთელი რიგი უშედეგო რაუნდების შემდეგ მოსკოვი იმუქრებოდა შესულიყო ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში „საქართველოს გვერდის ავლით“, ვინაიდან ბრალს სდებდა თბილისს ამ საკითხის „პოლიტიზაციაში“.

შედეგად მხარეებმა მაინც შეძლეს, მიეღწიათ თანხმობისთვის, და 2012 წლის აგვისტოში რუსეთი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის 156-ე წევრი გახდა.

### ხელმოწერილი შეთანხმება

**შეთანხმება, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოაწერეს საქართველომ და რუსეთმა, ითვალისწინებს საერთაშორისო მეთვალყურეების ყოფნას საზღვრებზე რუსეთთან, ასევე ელექტრონული მონაცემების გაცვლას რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გასული ტვირთების შესახებ. მონიტორინგს განახორციელებს კერძო კომპანია, რომელიც დაქირავებული არის შვეიცარიის მიერ, რომელიც ამ შემთხვევაში გამოდის როგორც ნეიტრალური მხარე.**

საერთაშორისო მეთვალყურეების განთავსების ადგილები განისაზღვრება გეოგრაფიული კოორდინატებით და არა სახელწოდებებით, რათა შენარჩუნებულ იქნეს ნეიტრალური მიდგომა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის სტატუსისადმი. დოკუმენტის თანახმად, საერთაშორისო მეთვალყურეები განთავსდებიან სამი სავაჭრო დერეფნის დასაწყისსა და დასასრულს: ერთ-ერთი მათგანი იწყება სოჭის მახლობლად და გადის აფხაზეთზე, მთავრდება ქალაქ ზუგდიდში. მეორე დერეფანი იწყება ჩრდილოეთი ოსეთის სოფელ ნარის მახლობლად, გადის სამხრეთ ოსეთზე და მთავრდება გორში, მესამე მდებარეობს ყაზბეგი-ზემო ლარსის საკონტროლო-გამტარ პუნქტთან.

შესაბამისად, კომპანიების წარმომადგენლები, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს, განთავსდებიან ოკუპირებული ტერიტორიების ფარგლებს გარეთ, მაგრამ ამ დროს საქართველოს მხარე ინფორმირებული იქნება ყველა ტვირთის შესახებ, რომლებიც შემოდის და გადის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ რუსეთიც და საქართველოც ამტკიცებდნენ, რომ მიაღწიეს „თავიანთი ინტერესების დაცვას“.

კერძოდ, რუსეთის მხარე აცხადებდა, რომ „ხელმოწერილ დოკუმენტში მთლიანადაა რეალიზებული მოლაპარაკების ამოცანები, რომელსაც რუსეთის მხარე თავიდანვე აყენებდა“.

თავის მხრივ, საქართველოს მხარე ამტკიცებდა, რომ „მძიმე დიპლომატიური მუშაობის“ შედეგად, საქართველომ, ბოლოს და ბოლოს, „მიიღო ის, რაც სურდა“.

მიუხედავად ამისა, ჯერჯერობით ძნელია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოხდება საქონელბრუნვის პროცესის მონიტორინგი რუსეთსა და საქართველოს შორის, ვინაიდან ჯერჯერობით არ დამთვრებულა ყველა აუცილებელი ნაბიჯი იმისთვის, რომ მან იმუშაოს.

როგორც ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს პრემიერის სპეციალურმა წარმომადგენელმა რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგებაში ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, ამ ეტაპზე საქართველოს და რუსეთის მხარეები ხელმოსაწერად ამზადებენ კონტრაქტებს შვეიცარიულ კომპანიასთან, რომელიც განახორციელებს ტვირთების მონიტორინგს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე.

Voice of America

## დედამიწის ზურგზე



**ჩინელმა, რომელსაც ველურმა პანდამ უკბინა, სასამართლოს მეშვეობით 80 ათასი დოლარის კომპენსაცია მოიპოვა**

**ცხოველი შეიჭრა განსუს პროვინციის მცხოვრების მიწის მონაკვეთში, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან გარბოდა, მის დაჭერას რომ ცდილობდნენ, გადაეყარა მიწის მეპატრონეს და მას ფეხზე უკბინა და სერიოზული ჭრილობები მიაყენა, რასაც შვიდსაათიანი ქირურგიული ჩარევა დასჭირდა.**

* * *

**ორ მილიონზე მეტი კაცი გამოვიდა ბრაზილიაში პრეზიდენტ დილმა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებში**




**აქციების მონაწილეები მოითხოვდნენ სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას და მოუწოდებდნენ ხელისუფლებას კორუფციასთან ბრძოლისკენ. მიტინგები ბრაზილიის 147 ქალაქსა და უცხოეთშიც გაიმართა: ხალხი გამოვიდა ქუჩებში ნიუ-იორკსა და პარიზშიც. მარტო სან-პაულუში საპროტესტო აქციებში, პოლიციის შეფასებით, დაახლოებით ერთი მილიონი კაცი მონაწილეობდა.**

* * *

**ვენესუელის პარლამენტმა მადუროს წლის ბოლომდე განსაკუთრებული უფლებამოსილებანი მიანიჭა — აშშ-თან დაპირისპირებისთვის**



**წლის ბოლომდე ნიკოლას მადუროს შეუძლია გამოსცეს ბრძანებულებები, რომლებსაც კანონების უფლება ექნება. გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო სანქციები 7 ვენესუელი ჩინოვნიკის წინააღმდეგ. ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს ზომები არ მისცემს ქვეყანას საშუალებას, გადაწყვიტოს დაგროვილი ეკონომიკური პრობლემები და ნაკარნახევია მისწრაფებით, რომ გაამტკიცონ ხელისუფლება.**

* * *

**მაშველებმა „აირაზიას“ თვითმფრინავის ავარიის შედეგად დაღუპულთა კიდევ სამი ცხედარი ამოაჩინეს**

**ცხედრები აღმოაჩინეს 40 მეტრში იმ ადგილიდან, სადაც ზედაპირზე ამოიყვანეს დამსხვრეული ლაინერის ფიუზელაჟის ძირითადი ფრაგმენტი. ადრე იტყობინებოდნენ, რომ ორთვენახევრის საძიებო-გადასარჩენი ოპერაციის შედეგად აღმოაჩინეს დაღუპულთა 103 ცხედარი. 56 დაღუპული ჯერ კიდევ ვერ ამოუჩენიათ.**



# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი**
**კრედიტის/სესხის № IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**პროექტის** № P130413
**დავალების სახელწოდება:** საგზაო სექტორის დაფინანსების და ინსტიტუციური სტრატეგიის შემუშავება
**საიდენტიფიკაციო №** EWHIP-4/CS/ICS-06

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტისთვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საჭირო საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით მოხდება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს გამოცდილ ინდივიდუალურ კონსულტანტებს ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **საგზაო სექტორის დაფინანსების და ინსტიტუციური სტრატეგიის შემუშავება.**

აღნიშნული დავალების მიზნების მისაღწევად, კონსულტანტმა უნდა განახორციელოს შემდეგი:

- საგზაო სექტორისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დანახარჯების ხარისხის გაუმჯობესება საბიუჯეტო დანახარჯების საერთო ტენდენციების გაანალიზებისა და სახელმწიფო ხარჯებისა და შესაბამისი ორგანიზაციების ეფექტურობის შეფასების გზით.
- 2000-2014 წლებში საგზაო სექტორში არსებული დანახარჯების მობილიზაციის, განაწილებისა და მართვის შეფასება, ბოლო ხუთ წელზე ფოკუსირებით. რეკომენდაციების შემუშავება საგზაო სექტორში ხარჯვების ეფექტიანობის ასამაღლებლად.
- საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერა საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტების, ეფექტიანობისა და ეფექტურობის განსაზღვრაში. კვლევამ უნდა გაამახვილოს ყურადღება სამთავრობო და კერძო სექტორის როლზე როგორც გზების ინფრასტრუქტურის მიწოდების და დაფინანსების კუთხით, ასევე საქართველოში საგზაო სექტორის განვითარების და მართვის გაუმჯობესების მიზნით ინსტიტუციურ დონეზე საყოველთაო პოლიტიკისა და ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებისთვის. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ ანალიზის მიზანია საქართველოს ხელისუფლებას მიეცეს არაეფექტიანი სფეროების გამოვლენისა და მათი გამოსწორების შესაძლებლობა. ასევე კვლევა ქმნის ანალიტიკურ საფუძველს საქართველოში საგზაო ინფრასტრუქტურის სერვისების მიწოდების სფეროში სტრატეგიის შესამუშავებლად.

საგზაო სექტორის კვლევის დავალებას აქვს შემდეგი კონკრეტული მიზნები:

1. საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების მოცულობის, შემადგენლობის, განაწილებისა და ათვისების მექანიზმების განსაზღვრა, ასევე ამ ხარჯების ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასება;
2. საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების ადეკვატურობის, მოცულობის, შემადგენლობის და ეფექტიანობის დასადგენად შიდასახელმწიფოებრივი, რეგიონალური და ადგილობრივი გზების დაფინანსებისა და მართვის მექანიზმების განსაზღვრა;
3. საგზაო სექტორში სახელმწიფო ხარჯების დაგეგმარების და ათვისების კუთხით ინსტიტუციური ურთიერთობების განსაზღვრა;
4. საგზაო სექტორში შემოსავლების (ხარჯების დაფარვის) ამჟამინდელი სტრუქტურის შეფასება, რაც უზრუნველყოფს საგზაო სერვისების მდგრადობას;
5. რეკომენდაციების შემუშავება რესურსების განაწილებასა და ეფექტიან ხარჯვაზე;

ანალიზის და რეკომენდაციების შემუშავების შედეგად განისაზღვრება სახელმწიფო და კერძო რესურსების მობილიზაციის, მოხმარებისა და მართვის ამჟამინდელი სტრუქტურა და მოიძებნება შემდგომი განვითარების გზები. გათვალისწინებული უნდა იქნას ის, რომ საგზაო სექტორის ხარჯები შეზღუდულია და უმეტესწილად ფინანსდება დონორი ორგანიზაციებეის მიერ. დავლევის შედეგებმა უნდა გასცეს პასუხები შემდეგ ძირითად კითხვებს:

- რა მოცულობის და შემადგენლობის არის ის სახელმწიფო ხარჯები, რომელიც იხარჯება საგზაო სექტორში?
- როგორია და რამდენად ეფექტურია პროცესი, რომლის მეშვეობითაც ნაწილდება საგზაო სექტორში სახელმწიფო დანახარჯები?
- რამდენად ეფექტურია საგზაო სექტორის ამჟამინდელი დანახარჯები? ხარჯვის მოცემული დონით თუ მიიღწევა მაქსიმალური შედეგი, შესაძლებელია თუ არა დანახარჯის ამ მოცულობით უფრო მეტი შედეგების მიღწევა?
- ხარჯების დაფარვის რა მექანიზმები არსებობს, რომლის მეშვეობითაც შეიძლება დაფინანსდეს საგზაო სექტორის სერვისები? რამდენად ეფექტურია ეს მექანიზმები და თუ არსებობს სხვა მიდგომები სისტემის განვითარებისთის?
- პოლიტიკის შემქმნელებისთვის რა სახის რეკომენდაციები გახდის საგზაო სექტორში სახელმწიფო რესურსის ხარჯვას უფრო ეფექტურს?
- რეაბილიტირებულ გზებზე ტარდება თუ არა შესაბამისი პერიოდული მოვლა-შენახვის სამუშაოები? რა ფაქტორები განსაზღვრავს ადგილობრივი გზების ამჟამინდელი მდგომარეობას?

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება შესაბამის დარგში, სპეციალობით ტრანსპორტის ეკონომისტი; საგზაო სექტორში ინსტიტუციური განვითარების გამოცდილება; სულ მცირე 20 წლის პროფესიული გამოცდილება, სახელმწიფო ხარჯების ანალიზის ჩათვლით;
- მსგავსი პროექტების ეფექტურად განხორცილების გამოცდილება ევროპულ და განვითარებად ქვეყნებში;
- ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

დავალების სავარაუდო ხანგრძივობაა 4 თვე (ჯამში 60 კაც-დღე). დავალების დაწყების სავარაუდო დროა 2015 წლის მაისი/ივნისი.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს მათ საკმარის კვალიფიკაციას და გამოცდილებას. კანდიდატთა ბიოგრაფიული მონაცემები (CV) უნდა მოიცავდეს მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალს და მოკლე აღწერილობას.

*შენიშვნა: საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი საბუთები და მოპოვებული ინფორმაცია გამოიყენოს შეფასების მიზნებისთვის.*

ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევა მოხდება მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების (2004 წლის გამოცემა, განახლებული 2011 წლის იანვარში) V ნაწილით -"ინდივიდუალური კონსულტანტების შერჩევა - მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ. კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო საათებში 10:00-დან 18:00 საათამდე.

ინტერესის გამოხატვის და მასზე თანდართული შრომითი ბიოგრაფიებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2015 წლის 30 მარტის 15:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო
ტელ: +995 322 37-05-08 დამ. 218
ფაქსი: +995 322 31-30-34
ელ. ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**

**Forth East-West Highway Improvement Project**
**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**Project No.** P130413
**Assignment Title:** Development of a Road Sector Financing and Institutional Strategy
**Reference No.** EWHIP-4/CS/ICS-06

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible individual consultants to express their interest in providing the following services: "Development of a Road Sector Financing and Institutional Strategy".

To achieve the objective of this assignment, the Consultant is expected to:

· Improve the quality of public spending on roads, by reviewing overall budgetary expenditure trends, and assessing the effectiveness of public spending and related institutions.

· Review the mobilization, allocation and management of expenditures in the road sector during the period 2000-2014, with a focus on the last five years. Make recommendations on how to improve the efficiency of spending on roads.

· Support the Government of Georgia (GoG) in improving the prioritization, efficiency, and effectiveness of public expenditures on road sector infrastructure. The STUDY will look at the role of the government and private sector in funding and delivering road infrastructure as well as on the overall policy and institutional framework for the sector development and management in Georgia. It is important to note that the main purpose of this analysis is to enable the GoG to identify areas of inefficiencies and how to address them. It will also provide an analytical basis to develop a strategy to improve the provision of road infrastructure services in Georgia.

The road sector STUDY has a number of specific objectives, including:
(1) to understand the size and composition, allocation, and implementation of public expenditure on road sectors as well as to assess the efficiency and effectiveness of these expenditures;
(2) to understand the road financing and management of national, regional and local roads, to the determine the adequacy, level, composition and efficiency of expenditure;
(3) to understand the institutional arrangements in the planning and execution of these expenditures;
(4) to examine the current revenue structure (cost-recovery) within the road sector that ensure the sustainability of services; and
(5) to provide recommendations on how resources could be allocated and used more efficiently.

The analysis and recommendations are intended to demonstrate how public and private resources in the road sector are currently mobilized, used and managed, and to recommend improvements. Recognizing that road spending has been limited and largely funded by donors. The results are expected to help provide answers to the following broad questions:

· What is the level and composition of public spending on road sectors?
· What is the process by which public expenditure on roads is allocated and spent and how effective is it?
· What is the efficiency of the current spending on road sector? For a given level of spending, are outputs being maximized or is there a more cost-efficient way to achieve similar outcomes?
· What are the cost-recovery mechanisms to finance road sectors services? How effective are they and are there options to further improve the system?
· What policy recommendations would enable more effective and efficient use of public funds in the road sector?
· Do new rehabilitated road sections receive adequate routine and periodic maintenance? What are the main reasons behind the deteriorated local roads condition?

Qualification Requirements:

· He/she shall have a relevant degree, professional qualification and be a transport economist with a strong road sector institutional development background.
· At least 20 years of professional experience, of which successful experience in developing expenditure reviews. He/She should specify country where similar project has been successfully undertaken.
· Knowledge and familiarity with the context of European and Developing countries are required.
· He/she should be highly proficient in English.

The estimated duration of assignment is a period 4 months, requiring 60 mandays starting from the date of commencement of services. The assignment is estimated to commence on May/June 2015.

Interested individuals shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. CVs of the candidates should cover experience in relevant to the project activities.

*Note: The Road Department reserves it's right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.*

A consultant will be selected in accordance with the "Selection of Individual Consultants" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines") on the basis of substantial responsiveness of the best evaluated CV with respect to compliance with technical and other related aspects specified in the Terms of Reference.

Interested consultants may obtain further information at the address below during office hours 10:00 to 18:00 hours.

Expressions of Interest accompanied by CVs and other relevant information electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **March 30, 2015, 15:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Unit of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Tel: +995-322-37-05-08, ext. 218
Fax: +995-322-31-30-34
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

## წინ, საქართველო!

# ჩრდილოელი მეზობლები ამჯერადაც „მშრალზე“ დასვეს



**ქართველი და რუსი მორაგბეების ორთაბრძოლები ყოველთვის დაძაბულობით გამოირჩევა. იმის მიუხედავად, რომ „ბორჯღალოსნებმა“ ჩრდილოელ მეზობლებს 16-ჯერ მოუგეს, გასულ შაბათს „რაგბი ევროპის ჩემპიონატის“ მეოთხე ტურში ამ გუნდების დაპირისპირებამ ცხოველი ინტერესი გამოიწვია — პაექრობამდე სამი დღით ადრე „მიხეილ მესხზე“ ყველა ბილეთი გაიყიდა.**

რუსები თბილისში ახალი მწვრთნელითა და რუმინეთთან გამარჯვებით შეგულიანებულები ჩამოვიდნენ, ოპტიმისტურად განწყობილნი მატჩის თითქმის 70 წუთის განმავლობაში ჩვენს ბიჭებს გაუძალიანდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ მასპინძლებმა მაინც იყოჩაღეს და მე-17 გამარჯვება იზეიმეს, თანაც ამჯერადაც მშრალი ანგარიშით (2012 წელს ვაკეში საქართველოს ნაკრებმა რუსებს 46:0 მოუგო) პაექრობა ქართველთა შეტევით დაიწყო და მე-3 წუთზე მერაბ კვირიკაშვილმა ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიში გახსნა. ამის შემდეგ „ბორჯღალოსნებმა“ რამდენიმე შეცდომა დაუშვეს, მაგრამ სტუმრებმა მათი გამოყენება ვერ შეძლეს. სამაგიეროდ, კვირიკაშვილმა 30-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა 6-მდე გაზარდა.

შესვენების შემდეგ მასპინძელთა უპირატესობა ნათლად გამოიკვეთა, განსაკუთრებით მატჩის ბოლო 15 წუთში, როცა ანგარიში იყო 12:0 ქართველების სასარგებლოდ. დროის ამ მონაკვეთში დავით კაჭარავამ, ზურაბ ჟვანიამ და კარლენ ასეიშვილმა სამი ლელო გაიტანეს, კვირიკაშვილმა სამჯერვე ზუსტად გარდასახა და „ბორჯღალოსნებმა“ 33:0 აჯობეს მეტოქეს. მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რუსთა მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პერვუხინმა აღნიშნა, რომ საკუთარი გუნდის თამაშით კმაყოფილია. „თითქმის 70 წუთი გავძელით. პირველ ტაიმში უპირატესობასაც კი ვფლობდით. დაცვაში კარგად ვითამაშეთ. ჩვენი ფედერაცია უპირატესობას შვიდკაცა რაგბის ნაკრებს ანიჭებს და, რადგან 2015 წელი ოლიმპიადის შესარჩევი წელიწადია. იძულებული ვიყავით, შვიდი მორაგბე დაგვეთმო“.

**შალვა სუთიაშვილი, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:** ძნელია, გამოხვიდე ამდენი გულშემატკივრის წინაშე და თავისუფლად ითამაშო. თავიდან ემოციებს ვერ ვძლიეთ, თან ბევრი ახალი მორაგბე გამოიცადა. მატჩის მიწურულისკენ ყველაფერი კალაპოტში ჩადგა და მდგომარეობაც შეიცვალა. ვიცით, რომ რუმინელები საქართველოს ნაკრებთან შესახვედრად საგანგებოდ ემზადებიან. არც ჩვენ დავაკლებთ ხელს და ვეცდებით, ქომაგები კიდევ ერთხელ გავახაროთ.

**IV ტური.** გერმანია-რუმინეთი 12:17, პორტუგალია-ესპანეთი 8:19.

**V ტური. 28 მარტი.** რუმინეთი-საქართველო, რუსეთი-პორტუგალია, ესპანეთი-გერმანია.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | პ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **საქართველო** | 4 | 4 | 0 | 0 | +107 | 1 | 17 |
| **რუმინეთი** | 4 | 3 | 0 | 1 | +50 | 3 | 15 |
| **ესპანეთი** | 4 | 2 | 0 | 2 | 0 | 1 | 9 |
| **რუსეთი** | 4 | 2 | 0 | 2 | -29 | 1 | 9 |
| **პორტუგალია** | 4 | 1 | 0 | 3 | -35 | 1 | 5 |
| **გერმანია** | 4 | 0 | 0 | 4 | -93 | 1 | 1 |

**ექვსი ერი**

ინგლისი-შოტლანდია 25:13, იტალია-საფრანგეთი 0:29, უელსი-ირლანდია 23:16

**სატურნირო მდგომარეობა:** ინგლისი, ირლანდია, უელსი — 6-6, საფრანგეთი — 4, იტალია — 2, შოტლანდია — 0 ქულა.

**V ტური.** იტალია-უელსი, შოტლანდია-ირლანდია, ინგლისი-საფრანგეთი.

**ლექსო ცინცაძე**

## წყალბურთი

# საგზურს ვერ შესწვდნენ

**აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო 12-21 ივნისს პირველ ევროპულ თამაშებს უმასპინძლებს. როგორც გაუწყეთ, იქ გამოსვლის უფლება რვა ქვეყნის წყალბურთელებს უკვე განაღდებული ჰქონდათ, ხოლო დანარჩენი რვა საგზურისთვის 22 გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. ისინი ოთხ ჯგუფში იყვნენ განაწილებული.**



საქართველოს ნაკრები (ნიკა ლეთოდიანი, გიორგი ადეიშვილი, გიორგი ღავთაძე, გიორგი თეთრაძე, ნიკა ცანკაშვილი, სანდრო ადეიშვილი, ვაჟა ფურცელაძე, ნიკა შუშიაშვილი, გიორგი მესხი, გიორგი მაგრაქველიძე, მიხეილ გვენცაძე, დავით ჯულაშვილი, ნიკოლოზ ჩხიკვიშვილი, მწვრთნელები — ირაკლი კიკალიშვილი, ოთარ ქოიავა) B **ჯგუფში** იბრძოდა ლიცენზიისთვის. სამწუხაროდ, ჩვენი ბიჭები საგზურს ვერ შესწვდნენ, რადგან ფავორიტებთან — თურქეთსა და სლოვაკეთთან დამარცხდნენ და მესამე ადგილზე გავიდნენ.

**I ტური.** თურქეთი — **საქართველო** 18:9 (6:2, 4:3, 2:2, 6:2), ავსტრია — მოლდოვა 9:9, სლოვაკეთი-ბულგარეთი 27:3.

**II ტური.** ავსტრია — ბულგარეთი 9:5, **საქართველო** — მოლდოვა 11:5 (5:1, 1:2, 3:2, 2:0), თურქეთი — სლოვაკეთი 12:13.

**III ტური.** მოლდოვა — ბულგარეთი 13:8, ავსტრია — თურქეთი 2:20, **საქართველო** — სლოვაკეთი 7:13 (1:2, 1:4, 3:4, 2:3).

**IV ტური.** სლოვაკეთი — მოლდოვა 16:8, ავსტრია — **საქართველო** 4:15 (0:3, 1:3, 2:6, 1:3), თურქეთი-ბულგარეთი 24:2.

**V ტური. საქართველო** — ბულგარეთი 18:6 (5:3, 4:0, 4:0, 5:3), თურქეთი — მოლდოვა 25:8, ავსტრია — სლოვაკეთი 4:23.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სლოვაკეთი** | 5 | 5 | 0 | 0 | 92:34 | 15 |
| **თურქეთი** | 5 | 4 | 0 | 1 | 99:34 | 12 |
| **საქართველო** | 5 | 3 | 0 | 2 | 60:46 | 9 |
| **მოლდოვა** | 5 | 1 | 1 | 3 | 43:69 | 4 |
| **ავსტრია** | 5 | 1 | 1 | 3 | 28:72 | 4 |
| **ბულგარეთი** | 5 | 0 | 0 | 5 | 24:91 | 0 |

A **ჯგუფშიც** 6 გუნდი იბრძოდა 2 საგზურისთვის. ბაქოში გამგზავრების უფლება ბერძნებმა და უკრაინელებმა მოიპოვეს. C **ჯგუფში** ხუთი გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. მოლოდინისამებრ, აქ ფრანგებმა და რუმინელებმა დაიმსახურეს ბაქოს ლიცენზიები. D **ჯგუფში** (ხუთი გუნდი) ეს უფლება გერმანელებსა და მალტელებს ერგოთ.

**ლაშა დიდია**

## ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**XXVI ეროვნული ჩემპიონატი. XIX ტური.** „შუქურა“ — „დინამო“ 0:1, „დილა“ — „ზუგდიდი“ 4:0, „მერანი“ — „ბათუმი“ 1:2, „ცხინვალი“ — „სამტრედია“ 2:1, „კოლხეთი“ — „გურია“ 0:1, „მეტალურგი“ — „ჩიხურა“ 0:0, „ზესტაფონი“ — „სიონი“ 4:2, „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“ 0:1.

**სატურნირო მდგომარეობა**: „დინამო“ — 38, „დილა“ — 37, „ბათუმი“ — 36, „ცხინვალი“ — 33, „სამტრედია“ — 31, „გურია“ — 28, „ჩიხურა“ — 27, „მეტალურგი“, „შუქურა“ — 24-24, „ზესტაფონი“ — 23, „მერანი“ — 22, „ტორპედო“, „კოლხეთი“ — 21-21, „ზუგდიდი“ — 18, „სიონი“ — 17, „ვიტ ჯორჯია“ — 13 ქულა.

**ხვალ 15 საათზე ითამაშებენ:** „დინამო“ — „მეტალურგი“, „გურია“ — „დილა“, „ბათუმი“ — „ვიტ ჯორჯია“, „ტორპედო“ — „ცხინვალი“, „სამტრედია“ — „ზესტაფონი“, „ჩიხურა“ — „კოლხეთი“, „სიონი“ — „შუქურა“, „ზუგდიდი“ — „მერანი“.

* * *



**იტალია.** „პალერმო“ — „იუვენტუსი“ 0:1, „ვერონა“ — „ნაპოლი“ 2:0, „ინტერი“ — „ჩეზენა“ 1:1.

**ესპანეთი.** „ეიბარი“ — „ბარსელონა“ 0:2, „რეალი“ — „ლევანტე“ 2:0, „ესპანიოლი“ — „ატლეტიკო“ 0:0.

**ინგლისი.** „ჩელსი“ — „საუთჰემპტონი“ 1:1, „ბარნლი“ — „სიტი“ 1:0, „არსენალი“ — „ვესტ ჰემი“ 3:0.

**გერმანია.** „ვერდერი“ — „ბაიერნი“ 0:4, „ჰერტა“ — „შალკე“ 2:1, „დორტმუნდი“ — „კიოლნი“ 0:0.

**საფრანგეთი.** „მარსელი“ — „ლიონი“ 0:0, „ბორდო“ — „პარი სენ-ჟერმენი“ 3:2, „მეცი“ — „სენტ ეტიენი“ 2:3.

**გიორგი შოთაძე**

## ძალოსნობა

# საევროპეო ნაკრების კანდიდატები შეირჩა

**თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა 15-წლამდელ ძალოსანთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის ჭიათურელი სპორტსმენები, არადა, ზემოიმერლებს მსგავს შეჯიბრებებში 30 წელიწადია, არ უასპარეზიათ. ვეტერანმა ძალოსანმა ლევან გაფრინდაშვილმა შვიდი მოზარდი ჩამოიყვანა თბილისში, რომლებმაც სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს.**

საქართველოს პირველობის მიზანი იყო 15-წლამდელთა ნაკრებისთვის წევრობის კანდიდატების შერჩევა, რომლებიც კონტინენტის პირველობისთვის მოემზადებიან, ამ შეჯიბრებას კი აგვისტოს მიწურულს კლაიპედა (ლიტვა) უმასპინძლებს. ტურნირზე თავი ისახელა ქუთაისელმა ედუარდ კაკაბაძემ (62 კგ), რომელმაც ორჭიდში 205 კილო მოაგროვა და „ოქრო“ დაიმსახურა. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ იგი ევროპაზეც მედლის კანდიდატი იქნება. სპორტის სასახლეში იყოჩაღეს გურამ გიორბელიძემ (46) და არჩილ მალაყმაძემ (56), ასევე, ოლიმპიური ჩემპიონის — გიორგი ასანიძის ვაჟმა საბა ასანიძემ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის — საბა ანთაურის შვილმა საბა ანთაურმა, რომლებიც 2003 წელს არიან დაბადებული. ორი წლით უფროსებთან პაექრობაში მათ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ:




**34 კგ.** გოგიტა შარაშიძე (აჭარა) — 82 (37+45), **38 კგ.** ზურაბ შეყლაშვილი (საჩხერე) — 74 (34+40), **42 კგ.** მანუჩარ გოგოხია (ზუგდიდი) — 104 (46+58), **46 კგ.** გურამ გიორბელიძე (ქუთაისი) — 143 (63+80), **50 კგ.** ვეფხია თებიძე (აჭარა) — 133 (57+76), **56 კგ.** არჩილ მალაყმაძე (ორივე — აჭარა) — 186 (86+100), **62 კგ.** ედუარდ კაკაბაძე — 205 (95+110), **69 კგ.** თენგიზ კუჭავა — 148 (68+80), **77 კგ.** ზაზა ლომთაძე — 160 (70+90), **+77 კგ.** გიორგი ჯიბლაძე (ოთხივე — ქუთაისი) — 166 (75+91),

**გუნდური.** 1. ქუთაისი (250), 2. აჭარა (245), 3. საჩხერე (237).

**გივი გაგუა**

**სურათზე:** ედუარდ კაკაბაძე.

## კალათბურთი



# კუპატაძე - ქალთა ევროლიგის ოთხთა ფინალზე, რატიშვილი - ევროჩელენჯის 1/4-ფინალის გადამწყვეტ მატჩზე

**ფიბა-ევროპამ ქართველი მსაჯ-კომისრები მეტად საპასუხისმგებლო მატჩებზე დანიშნა. ფიბა-ს კომისარი მერაბ რატიშვილი და არბიტრი მაკა კუპატაძე ევროტურნირების უმაღლესი დონის მატჩებს მოემსახურებიან, რაც ქართველი მსაჯ-კომისრების კიდევ ერთი აღიარებაა.**

მაკა კუპატაძე მიწვეულია პრაღაში, სადაც ქალთა ევროლიგის ოთხთა ფინალი გაიმართება. ევროლიგის გადამწყვეტ მატჩებში მონაწილეობას რუსული კლუბები — „ეკატერინბურგი“ და კურსკის „დინამო“, ასევე თურქული „ფენერბაჰჩე“ და ჩეხური „პრაღა“ მიიღებენ. არბიტრი მაკა კუპატაძე ამ გუნდებს შორის 10 და 12 აპრილს დაგეგმილ მატჩებს მოემსახურება.

არანაკლებ მნიშვნელოვან მატჩზეა მიწვეული მერაბ რატიშვილი. გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში დღეს კაცთა ევროჩელენჯის მეოთხედფინალის მე-3, გადამწყვეტი მატჩი გაიმართება, რომელშიც ერთმანეთს „სკაილაინერსი“ და რუსული „ენისეი“ შეხვდებიან. გამარჯვებული გუნდი აღნიშნული ტურნირის ოთხთა ფინალის საგზურს მოიპოვებს. სწორედ ამ მატჩზე მერაბ რატიშვილი კომისრად იმუშავებს.



**ვიტალი ჯაფარიძე**

## უქმე დღეების ჩანაწერები

# ივანიშვილი კი იმედიანადაა...



**თავისი ვაჟის ბერას ტელეეთერში („GDS“) გამოდის ბიძინა ივანიშვილი, რამდენიმე ახალგაზრდა ქალი და კაცი უზის გვერდით — ივანიშვილის დაარსებული საზოგადოების — „20-30“ წევრები. 60-ზე მეტი წევრია უკვე საზოგადოებაშიო, გვიყვება ბატონი ბიძინა, ეს ის ხალხია, რომელთაც ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების ღრმად განსჯის, სწორად დანახვის უნარი აქვთ, შეუძლიათ ანალიზი, რომელშიც ქვეყნის ინტერესები იგულისხმებაო. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ საზოგადოება, რომ შეიძლება, ჰყავდეს ხელისუფლება, რომელიც მას სურს, ამიტომ მოსახლეობა კარგად უნდა გაერკვეს ვის მისცეს ხმა არჩევნებში, უნდა აკონტროლოს ხელისუფლება და ამაში, ცხადია, მედიამ უნდა შეუწყოს ხელიო, — ბრძანებს ბატონი ბიძინა.**

...აქ რამდენიმე წუთის წინათ გადავრთე „რუსთავი-2“-იდან. ამ ტელეარხზე (სხვაგანაც) ვნახეთ, ზუგდიდში რა ამბებიც ხდებოდა, როგორ დასდევდნენ, სცემდნენ, აგინებდნენ ერთმანეთს ქართველები — ორად გაყოფილი მოსახლეობა, ცალკე „ოცნება“ და ცალკე ნაცები...

და თქვენ კიდევ რაიმეს იმედი გაქვთ, ბატონო ბიძინა?!

რატომ, ეს ამდენი ზიზღი?!

რატომ, ეს ამდენი ბოღმა?!

25 წელიწადია, მტყუან-მართალს ვარკვევთ ერთმანეთში ქართველები!... ვერა და ვერ დავწყნარდით!..

და თქვენ — დიდო კაცო, დიდო ქართველო, მართლა რაიმეს იმედი გაქვთ?! ღმერთმა იმედი არ მოგიშალოთ, ბატონო ბიძინა!

ნაცებს, კიდევ, 21 მარტის იმედი აქვთ!..

ვაი, ჩვენი ბრალი!..

# ალიონის მგალობელი

**ალიონია, შაშვის გალობა შემოდის ოთახში. აქ, რუსთაველის გამზირის სიახლოვეს, საიდან უნდა მოფრენილიყო ეს დალოცვილი? ალბათ, ალექსანდრეს ბაღიდან შემოაღწია შუა ქალაქში... გალობს, ყელს იღადრავს შაშვი, ათასნაირად ახვევს ხმას... „ბულბულს შაშვი მირჩევნია“, წერს ერთგან შოთა ნიშნიანიძე და, ალბათ, მართალიცაა...** ბულბული უფრო მინორულია, უფრო ნაზი და სუსტია... შაშვი, ძარღვებს რომ აგიტოკებს, ისეთია... ეს ამ თხუთმეტი წლის წინათ ვიგრძენი ჩემს სოფელში. სწორედ მარტის ბოლო იდგა. მამაჩემს ვუთევდი ღამეებს, ცუდად იყო ჩემი მშობელი, წუხდა, ტკივილები არ აძინებდა, შევუკეთებდი ბუხარს ხმელი დაფნის ტოტებს, ტკაცუნობდა, ბრიალებდა დაფნა, სურნელება იფრქვეოდა ირგვლივ... ალიონზე დაიწყებოდა ხოლმე ბულბულებისა და შაშვების გალობა ეზოში გაშენებულ დაფნარში... საოცარი ხმები გამოდიოდა... მამა მიკვდებოდა, ბულბულებისა და შაშვების ხმატკბილი „ორკესტრი“ მიაცილებდა საიქიოში...



# ქალი ძაღლით

**გავხსენით „პარლამენტი“ ალექსანდრეს ბაღში. როგორც იქნა, შევხვდით ერთმანეთს უბნელები, ვყვებით გადატანილი ზამთრის ამბებს, ცხადია, ვკამათობთ პოლიტიკაზე...**

უცებ ხმა გავკმინდეთ, თვალები გაგვიფართოვდა: შემოვიდა ბაღში ქალი, მაგრამ რა ქალი!.. შემოაცუნცულა ულამაზესი „პუდელი“ და მოწყალების თვალით ჩვენც გადმოგვხედა...

ატარა მშვენიერმა ქალბატონმა თავისი „პუდელი“ ბაღის ერთი კუთხიდან მეორეში, და მერე გასასვლელისკენ გაუყვა.

— ვინ არის, ტო, ჩვენი უბნელი არ უნდა იყოს! — ამბობს ზაზა.



— მაგარი კია ბიძია და!.. — აღტაცებას ვერ ფარავს ბონდო.

— ხვალ გეტყვით ყველაფერს. გავიცნობ და მოგახსენებთ! — თავდაჯერებულია მიშა.

— კაი რა, რის გამცნობი ხარ!..

— აბა, ნახავთ!..

მეორე დღე; ადრიანი დილაა; თითქმის იგივე შემადგენლობით განვაგრძობთ „მუშაობას“ „პარლამენტში“.

და, უცებ, ჩვენი ნაცნობი „პუდელი“ არ ჩაგვიცუცქდა ძელსკამთან! ბიჭოს, მაგრამ მშვენიერი პატრონი სადღაა?! მიიხედ-მოიხედა მიშამ, მივიხედ-მოვიხედეთ ჩვენც. შორიახლო მაღალი, ორმოცდაათიოდე წლის მამაკაცი მიმოდის სიგარეტის წევით. რა დიდი მიხვედრა უნდა, ალბათ, იმ მშვენიერი ქალის მეუღლეა... მართლაც ასეირნა ძაღლი კარგა ხანს მამაკაცმა, ასეირნა; „აბა, წავედით, ტონი!“ — დაუძახა მერე და გვერდით მშვიდად ჩაგვიარა.

ძაღლი კეთილშობილი თვალებით შემოგვყურებს და თითქოს გვეუბნება, „იმედით იყავით, კაცებო!“

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ნაცებო, ახლაც არა გრცხვენიათ?

# გიჟი მიუშვი ნებასა!..

## სააკაშვილი გადამალულ ორდენებს არიგებს

**ძებნაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მსოფლიოში მოგზაურობს და საქართველოს სახელით, ღირსების ორდენებს ისევ არიგებს. 2014 წლის 22 სექტემბერს მიხეილ სააკაშვილი მორისვილდში ჩავიდა და იქაურ ქართველებთან ერთად, ღვინის დაწურვისა და ჩურჩხელების ამოვლების ტრადიციულ ცერემონიალში მიიღო მონაწილეობა. თუმცა, სააკაშვილის სტუმრობა ღვინის დაწურვით არ დასრულებულა, მან ქართულ-ამერიკული რთველის აღსანიშნავად, ღირსების ორდენი გადასცა ამერიკაში მცხოვრებ ქართველ ქალბატონს ნონა შენგელიას.**




ნონა შენგელიას შემდეგ, სააკაშვილმა საქართველოს სახელმწიფოს სახელით, ღირსების ორდენით დააჯილდოვა აშშ-ში ლიტვის ელჩი ზიგიმანტას პავილიონისი. ღირსების ორდენის გადაცემის ცერემონია 2015 წლის 23 თებერვალს უკრაინაში გაიმართა, რასაც აშშ-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თემურ იაკობაშვილი ესწრებოდა. ცერემონიას მუსიკალურად პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი აფორმებდა. აშშ-ში ლიტვის ელჩისთვის საქართველოს სახელით, ღირსების ორდენი 2013 წლის 4 ნოემბერს არის გამოცემული, ბრძანებას ხელს მიხეილ სააკაშვილი აწერს.

დაჯილდოების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით, დაჯილდოებულ პირს შესაბამის მოწმობას გადასცემს საქართველოს პრეზიდენტი, ან მისი დავალებით სახელმწიფო ორგანოს ხელმძღვანელი, ან სხვა ოფიციალური პირი.

for.ge-ს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განუცხადეს, რომ ამ ფუნქციის შესრულება საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს მიხეილ სააკაშვილსთვის არასოდეს დაუვალებია.

იურისტი ლევან ალაფიშვილი ამბობს, რომ საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფოს სახელით ჯილდოების გადაცემის უფლება აქვს სახელმწიფო თანამდებობის პირს. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, ალაფიშვილი განმარტავს:

„2013 წლის 4 ნოემბრის შემდეგ ვინ უზრუნველყო ამ მედალიონის დამზადება და მისი დოკუმენტირება? როგორც წესი, თუ ფიზიკურად ვერ ხდება დასაჯილდოებელი პირის მოწვევა, ოფიციალური არხებით უნდა გაიგზავნოს ორდენი. საინტერესოა, როგორ მოხვდა იგი ყოფილი პრეზიდენტის ხელში? ეს შესაბამისმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ“, — აცხადებს for.ge-სთან ლევან ალაფიშვილი.

„თავისთავად კომიკურია, როდესაც ძებნილი პირი ღირსების ორდენებს არიგებს, მაგრამ ხომ უნდა გააკეთოს ისეთი რამ, რაც სხვას არ გაუკეთებია?! ნეტა რამდენი ასეთი ღირსების ორდენი აქვს ჯიბეში შენახული?“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას იურისტი ლია მუხაშავრია.

**თამთა ქარჩავა**

## წკეპლიკა

# აბა, ერთმანეთს დაეტოლეთ ქვეყნის ღალატში!

**ასლარიანო ნაცო ჯიგიტებო, 21 მარტს რაც შეიძლება მაგრად დაეტოლეთ ერთმანეთს ქვეყნის ლანძღვა-გინებაში, უნამუსობაში, გაახარეთ თქვენი მაწანწალა მამა-მარჩენალი, საქართველოს დროშების ნაცვლად, თქვენი გმირული საქმეების სიმბოლო ცოცხებით გამოდით.**

**ლონდა მდივანი**


## ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ

## მარნეულის 500 კვ ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტი

პროექტის განმახორციელებელი: **სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (სსე).**

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ აცხადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ხელახალ საჯარო განხილვას **მარნეულის 500 კვ ქვესადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის** პროექტის განხორციელების მიზნით.

საჯარო განხილვა გაიმართება 2015 წლის 27 აპრილს, 14 საათზე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73, II სართული).

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია 500კვ ქვესადგურ მარნეულის მშენებლობა, რომელიც წარმოადგენს უკვე არსებული 220 კვ მარნეულის ქვესადგურის გაფართოება-რეაბილიტაციის პროექტის შემადგენელ ნაწილს, რაც შემდეგში ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტს აზერბაიჯანსა და სომხეთში.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- **მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში — ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. №73, II სართული;**
- **საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა (სსე) — ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.№2,** www.gse.com.ge

დამატებით გაცნობებთ, რომ საზოგადოებისგან საკუთარი მოსაზრებების და კომენტარების წარმოდგენა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნებიდან 45 დღის (კალენდარული დღე) განმავლობაში, რომლის ათვლა დაიწყება ა/წ 6 მარტიდან (საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა/წ 5 მარტს). ველით თქვენს კომენტარებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, III სართული, ოთახი №304, მობ: 591 22 40 10, საკონტაქტო პირი: ზეზვა ხვედელიძე, ელ. ფოსტა: zezva.khvedelidze@gse.com.ge


**საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური კავშირის გამგეობა, ქალაქ თბილისის ვეტერანთა საქალაქო კავშირი და ქ. თბილისის ვეტერანთა რაიონული კავშირები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე**

**მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**ტიტე ლეფსაია ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული ადამიანი და საუკეთესო უფროსი მეგობარი**

**მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

---

**რეზო ნაცარიშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის ვეტერანთა საქალაქო კავშირის თავმჯდომარე, მრავალი სახელმწიფო ორდენისა და მედლის კავალერი, ქ. თბილისის საპატიო მოქალაქე**

**მოსე ჯიმშეთის ძე მდინარაძე**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

⊙ წიგნი

# ქართული მწერლობის კალამმოუღლელი მეციხოვნე

**გურამ ბენაშვილი ქართული კულტურის გადამრჩენთა ორდენის ღირსეული კავალერია...**

**ირაკლი კენჭოშვილი**

**გამომცემლობა „გლოსა“, წიგნისადმი დამოკიდებულების გაუცხოების საუკუნეში, მაშინ როდესაც კომპიუტერულმა ბუმმა და ინტერნეტიზაციამ წალეკა ყველაფერი, შესაძლოა, შეუმჩნეველიც დარჩენილიყო ბევრისთვის, მაგრამ ჩემდა საბედნიეროდ, სწორედ ამ გამოცემის წყალობით ხელში ჩამივარდა შესანიშნავად დასტამბული წიგნი ქართული თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატორისა და კრიტიკოსის, ბატონი გურამ ბენაშვილისა. ბატონ გურამს ჩვეული პროფესიონალიზმით სხვადასხვა დროს შექმნილი ლიტერატურული ესეები შეუკრებია და ერთი საერთო სათაურის ქვეშ — „სილუეტები“ — მოუქცევია ორმოცდაათამდე ქართველი მწერალი, ქართული ლიტერატურის ფუძემდებლები, კლასიკოსები, სამწუხაროდ, მივიწყებადქცეული ქართული სიტყვის დიდოსტატები და ბატონ დიმა ბენაშვილის რედაქტორობით ზემოთ ხსენებულ გამოცემაშიც სულ ახლახანს დაუსტამბია.**




ღვაწლს თაობები რომ შეაფასებენ ქართული ლიტერატურის კორიფეთა ნაღვაწის ჭეშმარიტად, მაღალპროფესიულ დონეზე წარმოჩენისათვის, ეს უდავოა, მაგრამ ჩვენთვის, მისი თანამედროვეთათვის, **ანა კალანდაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, მურმან ლებანიძის, შოთა ნიშნიანიძის, ჯანსუღ ჩარკვიანის, თამაზ ჩხენკელისა და რევაზ თვარაძის** აზრი მართლაც საინტერესოა, რომლებიც იმ მეგობრობას, ერთგულებასა და სიყვარულს დროებით გვერდით გადადებენ დიდი ლიტერატორის ნაღვაწის შეფასებისას და ჭეშმარიტ ლიტერატორობას ეხმაურებიან. გვერდს ვერ ავუვლი რამდენიმე შეფასებას:



**„...შენ, არა მარტო ქართული მწერლობის მოამაგეობით დაიმკვიდრე ღირსეული სახელი, არამედ, როგორც ჩვენი ლიტერატურის ულრმესმა მცოდნემ, ანალიტიკოსმა და კარგი თხზულების თავგადადებულმა მოსარჩლემ...“ (ჭაბუა ამირეჯიბი).**

**„მისი ნაწერები იკითხება, არა მარტო როგორც კრიტიკული შეფასებანი, არამედ მას გააჩნია თანამედროვე ევროპული დონის ესეის სიმაღლე და მასშტაბურობა“ (შოთა ნიშნიანიძე).**

**„...დროის მიერ დასმული საჭირბოროტო პრობლემები გადაწყვეტას მოითხოვს... ვინ უნდა იტვირთოს მათი გადაწყვეტა?.. კულტურის ამა თუ იმ სფეროში ამ საქმეს მესვეურობს უმცირესობა, რომელიც ლიდერის არსებობას გულისხმობს... ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და მის გარეთაც ასეთი ლიდერია გურამ ბენაშვილი“ (თამაზ ჩხენკელი).**

წინათქმად ამ კრებულს ბატონი გურამის ცნობილი **„ლიტერატურული მედიტაციები“** და ბევრისთვის უცნობი **„ღვაწლი-კეთილად შობილი და აყვავებული“** უძღვის, თუ არ ჩავთვლით ცნობილი, ჩვენთვის სათაყვანო ქართული სიტყვის დიდოსტატების მიერ გულიდან ამოსულ, ყოველგვარ ზედმეტ ემოციურობას ჩამოშორებულ სიტყვა-შეფასებებს და მისი შემოქმედების მიმართ.

გურამ ბენაშვილის უდიდეს

ეს ლიდერობაც იკისრა, პირუთვნელად, აწონილი სიტყვითა და ღვთისგან ბოძებული ნიჭის წყალობითაც შექმნა უშესანიშნავესი პორტრეტები ჩვენი დიდი წინაპრებისა და „სილუეტებში“ ორმოცდაათამდე ესეს მოუყარა თავი გიორგი მერჩულედან ვახტანგ როდონაიამდე.

კითხულობ ჩვენი კლასიკოსების, აწ უკვე მარადისობაში გადასულთა შემოქმედების ბენაშვილისეულ შეფასებებს და გული სიამაყით გევსება, თითქოს ათასჯერ წაკითხულს, გამოკვლეულ-შეფასებულს, მაინც ახალი, შენთვის უცნობი რაკურსით ხედავ და კვლავ კითხულობ...

კითხულობ ჩვენს თანამედროვე შემოქმედთა შესახებ ბენაშვილისეულ შეფასებებს და შიშობ, რომ ამგვარი დიდი, პირუთვნელი, პირდაპირი და აღმატებული განხილვა-განჯის შემდეგ რამე არ წასცდეთ, რათა სიდიადიდან დაბლა არ დაეშვან, არ მოდუნდნენ, არ წაუყურთბალიშონ დიდი ლიტერატორის ქებითა და პირუთვნელობით ცაში აფრენილებმა.

არადა, როგორი უტყუარი ალღოთია აღბეჭდილი მათი შემოქმედება, ყოველ ფრაზას ატყვია პოეტური განცდა, სითბო, ეს ბატონი გურამის სტილია.

ქართველი მწერლების, მხატვრების, ლიტერატორების შემოქმედების გურამ ბენაშვილისეული ხედვა, განსჯა მართლაც დიდ სიამოვნებას მოგვრის ყველას, ვინც ქართული მწერლობითა და ქართული სიტყვით სულდგმულობს.

**მამუკა ვაშაკიძე**

⊙ ვულოცავთ!

## „ჩვენი ვერა“



ასე უბრალოდ, ასე სიყვარულით ვიტყვით ხოლმე ჩვენი რედაქციის თანამშრომლები **ვერა ბეგუნ-სამხარაძეზე**, რომელსაც, ამ ბოლო ხანს, ბედმა თუ უბედობამ ჟურნალ-გაზეთების გამყიდველობა არგუნა და ისიც, ალიონიდან საღამომდე ქარსა და წვიმაში, ხვატსა და ყინვაში (ვერისუბნელებს შემჩნეული გეყოლებათ) ემსახურება ამ საქმეს. ჟურნალ-გაზეთების სტელაჟი ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაზეა აყუდებული, საიდანაც სააკაშვილის მთავრობამ ერთ ღამეში 2007 წლის 10 აგვისტოს ქუჩაში გამოგვყარა ათობით გაზეთისა და ტელეკომპანიის ჟურნალისტები. ამ შენობაში, ანუ გამომცემლობა „სამშობლოში“ თავის დროზე სამონტაჟო საამქროში მუშაობდა ვერა, ახლა კი, როგორც გითხარით, ისევ გამომცემლობის შენობასთან ტრიალებს. სხვათა შორის, არავის ამადლის, ნახონ, გადაათვალიერონ ახალი ნომერი... ესეც მისი კარგი ქალობის ნათელი მაგალითია...

ჩვენი გაზეთის რედაქციაც იქვეა, ერთმანეთის ჭირისა და ლხინის მოზიარეები ვართ...

და აი, „ჩვენი ვერა“ 80 წლისა გამხდარა, იგი ხარობს შვილებით, შვილიშვილებით, შვილთაშვილებით, ხარობს, რომ აფასებენ, პატივს სცემენ მის ქალობას.

იცოცხლე და ჯანმრთელობა არ მოგაკლოს ღმერთმა ძვირფასო ვერა!

**„საქართველოს რესპუბლიკის“
რედაქციის კოლექტივი**

⊙ კრიმინალი

## მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირი დააკავეს

**შსს-ს ინფორმაციით, შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული რაფაელ შ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თბილისში, არსენალის მთის ქუჩაზე, საკუთარ საცხოვრებელ სახლში, ურთიერთშელაპარაკებისას, მეუღლე, 1983 წელს დაბადებული სუზანა ს. მოკლა. სამართალდამცველებმა რაფაელ შ. შემთხვევის ადგილზევე დააკავეს.**

**პ ა ც ი ე ნ ტ თ ა   ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ !**

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

⊙ ცინცხალი ანეკდოტები

**— ჩემს ტუალეტის ქაღალდს ისეთი კარგი სუნი აქვს!..**
**— ჰმ, მანამდე თუ მას მერე?**

* * *

**ორი მაწანწალა ნაგვის ურნასთან საუბრობს:**
**— როგორ გაღატაკდა ხალხი! ისეთ ნაგავს ყრიან, რომ ვერაფერს აიღებ!!!**

* * *

**— ასლარიანი კუპიურა ვიპოვე.**
**— მერე რად ხარ ასე მოწყენილი?**
**— იქ, სადაც იგი ვიპოვე, მასეთი სამი ცალი დამივარდა...**

* * *



**— იგი მართლაც კარგი ფსიქოლოგია. მისი პაციენტები, როგორც კი გაიგებენ, რომ ყოველი მომდევნო ვიზიტისთვის 200 დოლარი უნდა გადაიხადონ, ძალიან იოლად და ძალდაუტანებლად თავადვე გამოდიან დეპრესიიდან.**

* * *

**— ყველანი დაწექით — ეს ძარცვაა!**
**— თუ შეიძლება, ვიჯდები, თორემ მეშინია, რომ დამეძინება.**

* * *

**რამდენიმე წელი არ ვიხდიდი ცოლ-ქმრულ ვალს. ვიღაც მამაკაცი აკეთებდა ამას ჩემს ნაცვლად. აი, ბანკის ვალთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, იგივე არ გამოვიდა.**

* * *

**— მისტერ პუტინ, გვითხარით, როგორია მსოფლიოს ყველაზე აგრესიული ქვეყნის პრეზიდენტობა?**
**— არ ვიცი, მე ხომ არ ვარ აშშ-ის პრეზიდენტი.**

⊙ კადრი



**კატების არმიამ იაპონიის სამხრეთში ერთ-ერთი შორეული კუნძულის ოკუპაცია მოახდინა. ისინი მეთევზეების სოფელში მიტოვებულ სახლებში ცხოვრობენ, სადაც თითოეულ მცხოვრებზე მოდის 6 ზოლებიანი კუდაბზიკა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24